№ 95

ხუთშაბათი, 9 ივნისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 95

ხუთშაბათი, 9 ივნისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია".

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა", რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული სურათები და ილლუსტრაციები.

გაზეთის ფასი: 1 ივნისიდან წლის დამლევამდის 5 მ. 50 კ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія".

ივნისის 12-ს „ბელ-ვიუს" ბაღში გაიმართება
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ
სეირნობა და ბაზარი
მიიღება შემოწირულება ბაზრისათვის „საზოგადოების" კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა).

ახალი წიგნი
გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის" რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი"-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.
(30—9)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. მ. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არჯანიტაკი. 11—1 [illegible]ებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევს 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

პოლიტიკურ ცვლილების აუცილებლობა

დღეს ქვეყნიერობას რომ თვალი გადავავლოთ, ერთს ფრიად საგულისხმიერო მოვლენას შევნიშნავთ. მთელს დედამიწაზე მხოლოდ ორიოდე სახელმწიფო დარჩენილა ისეთი, სადაც ჯერ კიდევ უფლებრივი წყობილება არ არსებობს. სხვათა შორის, ევროპაში ასეთი სახელმწიფო მხოლოდ ორია: ოსმალეთი და რუსეთი. მაგრამ აქაც პოლიტიკურის ცხოვრების შეცვლა ახლო მერმისის საქმეა. ვინ არ იცის ოსმალეთის ცდა და მითხად-ფაშის პროექტი 1876 წელში პარლამენტარულ წყობილების შემოღების შესახებ. რუსეთშიაც რამდენჯერმე შეუდგენიათ პროექტები „წარმომადგენლობითი" წესის შემოღებაზე. საკმარისია, მაგალითად, გავიხსენოთ ბოლონდელი ცდა ლორის-მელიქოვისა...

ასეთი ფაქტები ჩვენ მხოლოდ ერთ რამეში გვარწმუნებს: ცხოვრების ევოლუცია ბუნებრივ აუცილებლობის ხასიათით მიისწრაფვის უფლებრივ წყობილებისაკენ და ვერც ერთი სახელმწიფო ამ ბუნებრივ მსვლელობას გვერდს ვერ აუხვევს.

ხშირად გვესმის საზოგადოებაში: რუსეთი ომმა ჩააყენა დღევანდელს მდგომარეობაში, ომმა დაუყენა რუსეთს აუცილებელი საჭიროება წყობილების განახლებისა. მართალია, ომმა საოცარის სისასტიკით გამოამჟღავნა რუსეთის წყობილების უვარგისობა, მან ფარდა მოჰხადა ბევრს ისეთ რასმე, რაც წინად საზოგადოებისთვის დაფარული და უცნობი იყო, მაგრამ დიდი შეცდომა იქნება, მხოლოდ ომს მივაწეროთ დღევანდელ საზოგადოებრივ მდგომარეობის შექმნა. ომის როლი აქ, ასე ვთქვათ, მთავრობის გამოცდა, ეგზამენი იყო და მეტი არაფერი. მან მეტის სიცხადით გამოააშკარავა ის, რაც ცხოვრებაში ხდებოდა.

ყოველი სახელმწიფო თავის ცხოვრებაში ორის პირობის გავლენის ქვეშ იმყოფება: იგი არსებობს, როგორც საერთაშორისო ერთეული, და იმავე დროს, როგორც შინაურ პირობების პასუხის გამცემი. საგარეო და შინაური ცხოვრება—აი, რა პირობებშია დღეს მომწყვდეული თითოეული სახელმწიფო.

იყო დრო, როცა საგარეო ცხოვრებას არა ჰქონდა დიდი გავლენა სახელმწიფოს შინაურ წყობილებაზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა ბურჟუაზია, როგორც სოციალ-პოლიტიკური ძალა, მას შემდეგ, რაც სამრეწველო ხანა დადგა,—საერთაშორისო განწყობილებას, დაწინაურებულ ხალხების საზოგადოებრივ წყობილების გავლენას, თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცა სახელმწიფოთა შინაურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით იმ სახელმწიფოებში, რომელნიც კულტურის მხრივ ჩამორჩენილნი არიან.

სადმე აფრიკის კუნჭულში კარჩაკეტილად მცხოვრებ ველურ თემს არ ესაჭიროება მოქალაქობრივი წყობილება. იქ ხალხი უამისოდაც იოლად მიდის და დიდხანსაც იცხოვრებდა ძველის წესით, რომ დაწინაურებული უცხოეთი ასვენებდეს და მის ცხოვრებაში არ ერეოდეს. ევროპიელი მრეწველი მის ბუდეს ანგრევს და პირდაპირ ეუბნება: ან აღიგავე დედამიწის ზურგიდან, ან დაემორჩილე ახალ ცხოვრებას, ახალ წყობილებას და მოქალაქობრივ ცხოვრებისთვის მოემზადე. სწორედ ამაში გამოიხატება დღევანდელ სამრეწველო ეპოქის თავისებურობა.

ძველმა ხანამაც იცის დიდებული ცივილიზაცია ფინიკიელთა, ეგვიპტელთა, ბერძენთა და რომაელთა. მაგრამ ამ ძველმა ცივილიზაციამ ვერ შესძლო დაემორჩილებინა გარემოცული ველურობა. პირიქით, საბოლოოდ ამ ველურობამ სძლია და შესწყვიტა ძველ ცივილიზაციის განვითარება. ვინ იცის, რამდენი აღმოჩენა, რამდენი კულტურული შენაძენი თან გაჰყვა იმ დიდებულ ცივილიზაციის წარმომადგენელთ!

ახლა კი სულ სხვასა ვხედავთ. ახლანდელმა ცივილიზაციამ ერთხელ და სამუდამოდ სძლია ველურობას. მან ან დაიმორჩილა და ან შეუბრალებლად გაჟლიტა ყველანი, ვინც მის წინაშე ქედი არ მოიდრიკა, ვინც მის გზით მსვლელობა არ მოისურვა. ამნაირად ჩამორჩენილ სახელმწიფოებისთვის თანამედროვე კულტურულ ცხოვრების უარყოფა შეუძლებელი შექმნა. სავალდებულო გახდა არა მარტო მატერიალურის კულტურის შეთვისება, არამედ იმ საზოგადოებრივ ფორმებისაც, რომლებშიაც ეს მატერიალური კულტურა ხორციელდება.

ყირიმის ომმა და დღეს რუსეთ-იაპონიის ომმა ცხადად დაგვანახვა, რომ არც მცხოვრებთა რაოდენობა, არც შეიარაღება და უზომო ფულის დახარჯვა არაფერს არ უშველის სახელმწიფოს, თუ ის კულტურულად ჩამორჩენილია. დამარცხება მოელის ჩამორჩენილ სახელმწიფოს არა თუ ომში, არამედ ყოველგვარ სფერაში და განსაკუთრებით—მრეწველობაში. თანამედროვე საერთაშორისო პირობებში შეუძლებელია არსებობა ისეთის სახელმწიფო ორგანიზმისა, რომელსაც არა აქვს შეთვისებული დაწინაურებულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია.

აქედან ცხადია, რომ, თუ სახელმწიფოს უნდა არსებობა, დროისა და მოთხოვნილების შესაფერადაც უნდა შესცვალოს თავისი შინაური წესწყობილება. ეს კარგად შეიგნეს იაპონელებმა და ეს შეგნება რუსეთისთვისაც აუცილებელია. ყირიმის დამარცხებამ რუსეთი აიძულა, ერთი დიდი ნაბიჯი გადაედგა მოქალაქობრივ განვითარების გზაზე,—მოესპო ბატონ-ყმობა. მართალია, ეს საგრძნობელი ნაბიჯი იყო, მაგრამ ბატონყმობის მოსპობიდან მოქალაქობრივ წყობილებამდე კიდევ შორსაა. მესამოცე წლების რეფორმებს არ მოჰყვა ბიუროკრატიის თვითნებობის შესუსტება. ამიტომ ძველი წყობილება არსებითად მაინც იგივე დარჩა. საზოგადოება მაინც უუფლებო გამოვიდა, მაგრამ შემდეგმა ცხოვრებამ ნათლად გამოააშკარავა, რომ შეუძლებელია ძველს ორგანიზაციაში ახალის ცხოვრების მოთავსება. ახლანდელმა ომმა საბოლოოდ გაამართლა ეს აზრი. საერთაშორისო დამოკიდებულებამ გადაჭრით უპასუხა რუსეთის ეხლანდელ წყობილებას: შენ გამოუსადეგარი ხარ და უნდა შეცვლილ იქმნეო.

შინაური ცხოვრებაც ამასვე ღაღადებს. წესიერი ცხოვრება შეუძლებელია იქ, სადაც მოქალაქეს არავითარი უფლება არა აქვს. და რამდენიც დრო მიდის, ეს შეუძლებლობა უფრო მეტად ცხადი ხდება. მცხოვრებთათვის თანდათან აუტანელი ხდება ძველს პირობებში ყოფნა. ეს იწვევს ძველის წყობილების რყევას. დასასრულ დგება ისეთი კრიზისი, რომლიდანაც თავის დაღწევა ძველს წყობილებას არავითარის გზით აღარ შეუძლიან.

სწორედ ასეთი მომენტი დადგა დღეს რუსეთის ცხოვრებაში. დღეს გადაწყვეტილია: ძველი ორგანიზაცია აუცილებლივ უნდა შეიცვალოს,—რუსეთში აუცილებლივ უნდა დამყარდეს უფლებრივი წყობილება, რომლის დამახასიათებელ თვისებასაც შეადგენს წარმომადგენლობითი სისტემის არსებობა.

მაგრამ ეს ბევრისთვის კიდევ საბოლოო ნუგეში როდია. ცხოვრებაში არსებული განხეთქილება, ინტერესთა წინააღმდეგობა გადადის პოლიტიკურ ბრძოლაშიაც. ხალხის სხვადასხვა ჯგუფი ეტრფის არა ერთნაირ უფლებრივ წყობილებას. ერთს სურს მცირე ჯგუფს ჩაუგდოს ხელში პოლიტიკური ძალა, მეორე უფრო ფართო ჯგუფის მომხრეა, ხოლო მესამის მიზანია მოუპოვოს მთელ ხალხს პოლიტიკურ ცხოვრებაში უკლებლივ და შეუზღუდველად მონაწილეობის უფლება. ვინ გაიმარჯვებს? აი, ესაა საკითხი, მხოლოდ ესაა დღევანდელი საბრძოლველი საგანი. .

* * *

ქართული ენა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში

„თუ რუსეთის საშუალო სასწავლებლების ძირითადი რეორგანიზაცია მოხდა, ჩვენს სკოლაში ყველა საგნები ქართულს ენაზე უნდა ისწავლებოდეს; მაგრამ, თუ ასეთი ცვლილება არ მოხდა, სათავად-აზნაურო სკოლაში ქართული ენა მთავარ საგნად მაინც უნდა იქნეს მიჩნეული".

ასე თავდება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს „მოხსენების" პირველ ნაწილის მე-2 მუხლი.

ამ მუხლის უკანასკნელი სიტყვები მკითხველს ნებას აძლევს შემდეგი ორი დასკვნა გამოიტანოს: პირველი ის, რომ სათავად-აზნაურო სკოლაში ზოგი საგნები „უმთავრესად" ყოფილა მიჩნეული, ზოგი კი არა, და მეორეც ის, რომ ამავე სკოლაში ქართული ენა დღემდე „მთავარ საგნების" დონეზე არ ყოფილა (ან **ვერ ყოფილა**) დაყენებული.

პირველ აზრს განმარტება არა სჭირია, რადგან თავის-თავად იგულისხმება, რომ, სადაც მოწაფეს ოც საგანზე მეტს ასწავლიან, იქ ყველა საგნების ერთგვარად დაყენება და თანაბარის საფუძვლიანობით შესწავლა არა თუ საძნელოა, შეუძლებელიცაა. ამასთანავე არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი სკოლა რუსეთის კლასიკურ გიმნაზიათა ყალიბზეა ჩამოსხმული და, როგორც იქ, აქაც სასწავლო საგნებში შედარებითი „უმთავრეს-უმცირესობა" სუფევს.

რაც შეეხება მეორე აზრს, ამაზე კი საჭიროა შევჩერდეთ და მკითხველს სრული ანგარიში წარვუდგინოთ, ე. ი., რამდენადაც ძალა შეგვწევს, ცხადად დავანახოთ, თუ რის ბრალია, რომ სათავად-აზნაურო სკოლაში ქართული ენა დღემდე ჯეროვანად ვერაა დაყენებული. მიზეზების გარკვევა ნახევრად მაინც გაგვიადვილებს, თვით ამ არა-სასურველ მოვლენის წინააღმდეგ შესაფერი ზომები გამოვძებნოთ.

ყოველმა პედაგოგმა გამოცდილებით იცის, რომ ამა თუ იმ საგნის წარმატებით შესწავლისათვის, მასწავლებლისა და მოწაფის ბუნებრივ ნიჭს გარდა, რომელიც პედაგოგის ხელთ არაა, შემდეგი ხუთი უმთავრესი პირობა არის საჭირო:

1) მასწავლებელი უნდა იყოს ჯეროვანად მომზადებული, თავის საგნის მოყვარული და საუკეთესო სასწავლო მეთოდებით აღჭურვილი; თანაც მთელი თავისი ძალ-ღონე და ყურადღება უმთავრესად ამ საგანზე უნდა ექმნეს მიქცეული;

2) თვით სასწავლო საგანი, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ, მოსწავლეთათვის საყვარელი და მიმზიდველი უნდა იყოს;

3) ამ საგანს სასკოლო პროგრამაში, არა მარტო ქაღალდზე და სიტყვით, არამედ საქმითაც, იმდენად მაღალი ადგილი უნდა ეჭიროს, რომ, როგორც მასწავლებელნი, ისე მოსწავლენი და მათი მშობლები, ყველანი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ამ საგნის საფუძვლიანად შესწავლა იმ ზომადვე მნიშვნელოვანი და აუცილებელია, როგორც სხვა მთავარ საგნებისა;

4) საგნის სივრცისა და შინაარსის მიხედვით, მისი გაკვეთილების რიცხვიც საკმაო უნდა იყოს და, ამასთანავე, ეს გაკვეთილები, თუ ყოველთვის არა, უმეტეს ნაწილად მაინც, ისეთს დროს უნდა ხდებოდეს, როდესაც მოსწავლის ტვინი ჯერ კიდევ საღად მუშაობს და წინა გაკვეთილებით მოქანცული არაა;

5) აღნიშნულ საგნის სახელმძღვანელოები და დახმარებითი წიგნები საკმაოდ უნდა მოიპოვებოდეს; კერძოდ სახელმძღვანელოები ახალ დროისა და საუკეთესო მეთოდების თანახმად უნდა იქმნეს შედგენილი.

ახლა ვიკითხოთ: აკმაყოფილებდა თუ ვერა ქართულ ენის მდგომარეობა სათავად-აზნაურო სკოლაში ამ ხუთს პირობას და, თუ ვერ აკმაყოფილებდა, რა იყო ამისი მიზეზი?

ამისათვის საჭიროა თვითოეულ პირობაზე ცალ-ცალკე ვილაპარაკოთ. დავიწყოთ მასწავლებლიდან.

«სკოლის სული და გული მასწავლებელიაო",—ამბობენ ზემოდ დასახელებულ „მოხსენების" შემდგენელნი.

სწორედ ასევე შევვიძლიან ვთქვათ, რომ ყოველ საგნის სულის ჩამდგმელი მასწავლებელია

მაგრამ, ცხადია, მასწავლებელი საგნის სულის ჩამდგმელად ვერ გამოდგება, თუ მას შესაფერი პედაგოგიური მომზადება არ მოეპოება, თავისი საგანი არ უყვარს, მის გარდაცემის დროს საუკეთესო მეთოდებით არ ხელმძღვანელობს და მთელი თავისი ყურადღება უმთავრესად ამ საგანზე მიქცეული არა აქვს.

უხერხულად მიგვაჩნია, სათავად-აზნაურო სკოლის ქართულ ენის მასწავლებელთა ღირსებასა ან ნაკლულევანებაზე ვილაპარაკოთ, მათს ბრალმდებლად ანუ ვექილად გამოვიდეთ. ჩვენ თვითონაც ამ მასწავლებელთა რიცხვს ვეკუთვნით და, უმჯობესად მიგვაჩნია, გულახდით აღვიაროთ, რომ, თუ ჩვენს სკოლაში ქართული ენა საკმაო სიმაღლეზე ვერა სდგას, ამისი ბრალი, სხვათა შორის, ალბად, ჩვენც უნდა გვედებოდეს. მაგრამ შემცდარი იქნება, ვინც იფიქრებს, ვითომც ყველაფერი ამ ერთის მიზეზით აიხსნებოდეს.

ამ მოვლენას სხვაც ბევრი საპატიო მიზეზი აქვს, რომელიც, სამწუხაროდ, იმდენად ძლიერი არის, რომ სადაც იგი არსებობს, იქ საუკეთესო მასწავლებელსაც კი ძლიერ გაუჭირდება საქმე სასურველად წაიყვანოს.

ავიღოთ თუნდ ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ მასწავლებელი მთელ თავის ძალ-ღონეს უმთავრესად თავისს საგანს უნდა ახმარებდეს; სრულდებოდა თუ არა სათავად-აზნაურო სკოლაში ეს უბრალო მოთხოვნილება?

მასწავლებელს რომ მთელი თავისი ძალა და ყურადღება უმთავრესად თავის საგანზე ექმნეს მიქცეული, საჭიროა იგი: 1) არც იმავე სკოლაში ასწავლიდეს სხვა საგანს და 2) არც სკოლის გარეშე იყოს სხვა შრომით დატვირთული; წინააღმდეგ შემთხვევაში, მასწავლებლის შრომა სკოლაში დაიქსაქსება და ნაყოფიერობა შესამჩნევად მოაკლდება. მეორე მხრივ, არც ის იქნება კარგი, რომ მასწავლებელს ერთისა და იმავე საგნის გაკვეთილები მივცეთ, მაგრამ ისე მძიმედ დავტვირთოთ ამ გაკვეთილებით, რომ მას დასასვენებლადაც კი საკმაო დრო აღარა რჩებოდეს. ვისაც მასწავლებლობა გამოუცდია, უეჭველია, დაგვეთანხმება, რომ, ვინც დღეში სამს გაკვეთილზე მეტს აძლევს, იგი მალე იქანცება, უდროოდ ბერდება და რამდენისამე წლის შემდეგ მასწავლებლად აღარ ვარგა.

სამწუხაროდ, ვერც ერთს ამ პირობათაგანს დღემდე ჩვენი სკოლა ვერ აკმაყოფილებდა. ამისი მიზეზი, ერთის მხრივ, სკოლის ნივთიერი ხელმოკლეობა იყო, მეორე მხრივ—მასში გამეფებული გიმნაზიის პროგრამა.

თუ მხედველობაში მოსამზადებელის კლასის პირველ განყოფილებას არ მივიღებთ, სადაც ყველა საგნებს ერთი მასწავლებელი ასწავლის, ქართულ ენას მთელს ჩვენს სკოლაში ოთხი მასწავლებელი ჰყავს. წარსულ წლამდე მოსამზადებელ კლასში თითო გაკვეთილი 40 მანათად ღირდა, წელს 50-ად გახადეს; გიმნაზიურ კლასებშიაც წინად გაკვეთილში 60 მანათს აძლევდნენ, დღეს კი 70 მანათს იხდიან. ცხადია, უკეთუ მასწავლებელს გაკვეთილების ნორმალურ რიცხვს (დღეში **სამს** ანუ კვირაში 18-ს) მისცემდნენ, მოსამზადებელ კლასის მასწავლებელს წლიურ ჯამაგირად 720—900 მანათზე მეტი არ მოუწევდა, ხოლო გიმნაზიურ კლასებისა—1080—1260 მანათზე მეტი. რა თქმა უნდა, ამ ჯამაგირით საშუალო და მაღალ განათლების კაცი სკოლაში ვერ გაჩერდებოდა და, ამიტომ, საჭირო შეიქნა გაკვეთილების მიმატება. მოსამზადებელ კლასში ერთს მასწავლებელს 25 გაკვეთილი მიანდეს, გიმნაზიის სამს კლასში მეორე მასწავლებელს—22 გაკვეთილი. ამრიგად, ორი მასწავლებელი ნივთიერად უზრუნველ ჰყავს, მაგრამ, სანაცვლოდ, ნორმაზე მეტ გაკვეთილებით დატვირეს.

სულ სხვა სურათს ვხედავთ გიმნაზიის ზემო კლასებში. არსებულის პროგრამის წყალობით, რომელიც ჩვენს სკოლას მთავრობის გიმნაზიისათვის მოსამზადებელ პანსიონად ჰხდის, ზემო კლასებში ქართულ ენას სულ 15 გაკვეთილი აქვს დათმობილი: ორს მე-IV კლასში 6 გაკვეთილი, მე-V-ში—3 და მე-VI, VII და VIII-ში—ორ-ორი. მეტის გაკვეთილის დათმობაც არც ხერხდება და არც სამოსწავლო მთავრობა იძლევა ნებას.

წარსულ წლამდე ამ კლასებში ქართულ ენის გაკვეთილები სხვა საგნების ორ მასწავლებელს ჰქონდათ განაწილებული: ერთი მათგანი საზოგადო ისტორიას ასწავლის, მეორე—ფრანგულ ენას. წელს-კი, საშინჯად, ორი ახალი მასწავლებელი მოიწვიეს, მაგრამ, გაკვეთილების სიცოტავისა გამო, ვერც ერთი ვერ უზრუნველჰყვეს იმდენად, რომ სკოლის გარეშე სამუშაოს ძებნა არ დასჭირებოდათ. ერთი ამ მასწავლებელთაგანი ცამეტ გაკვეთილს აძლევს, მეორე—მარტო ორს. ცხადია, ასეთს მასწავლებლებს ვერავინ მოსთხოვს, მთელი თავისი ძალ-ღონე მარტო ჩვენს სკოლასა და, კერძოდ, ქართულს ენას შესწირონ, თავისი ოჯახი დაივიწყონ და დამატებითი შემოსავლის წყარო სკოლის გარეშე არ ეძიონ.

ამრიგად, დაბალ კლასებში, გაკვეთილების სიმრავლისა გამო, ზომაზე გადაჭარბებული შრომა, ზემო კლასებში კი,—იმავე გაკვეთილთა სიმცირისა გამო,—შრომის დაქსაქსვა და მასწავლებლის ენერგიის სხვა საგანზე გადატანა,—როგორც შედეგი, ერთის მხრივ, სკოლის ნივთიერად ხელ-მოკლეობისა და, მეორე მხრივ, მასში გამეფებულის საერთო სასწავლო სისტემისა,—აი, როგორ პირობებში უხდებოდა და უხდება მუშაობა ქართულის ენის მასწავლებელს ტფილისის სათავად აზნაურო სკოლაში.

რა თქმა უნდა, ეს პირობები ნორმალურ პირობებად ვერ ჩაითვლება. ამას კარგად გრძნობს ჩვენის სკოლის პედაგოგიური საბჭო და თავის „მოხსენება"-ში, სხვათა შორის, ამბობს: საჭიროა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას **მოსამზადებელი ხასიათი** დაეკარგოს, ქართული ენა **მთავარ საგნად** იქმნეს მიჩნეული, მასწავლებელი კვირაში 18 **გაკვეთილზე** მეტს არ აძლევდეს და თითოეულ გაკვეთილში წლიურად 150 მანათს უნდა იღებდესო, რადგან მხოლოდ მაშინ იქნება იგი იმდენად უზრუნველ-ყოფილი, რომ დამატებითი შემოსავლისათვის სკოლის გარეშე სამუშაოს ძებნა აღარ დასჭირდება, რითაც, იმედია, სკოლაში მისი შრომა ერთი-ორად განაყოფიერდება და სკოლის პატრონსაც სრული ზნეობრივი უფლება მიეცემა ამგვარს მასწავლებელს გადაჭრით მოსთხოვოს, მთელი თავისი ძალ-ღონე და ყურადღება უმთავრესად ქართულ ენას მიაქციოს.

ამას გარდა, პედაგოგიური საბჭო იმასაც კარგად გრძნობს, რომ ჩვენის სკოლის მასწავლებელნი ყველანი ერთნაირის მომზადებითა და გამოცდილებით აღჭურვილნი არ არიან, და ამიტომ საჭიროდ სთვლის, სხვა საგანთა შორის, ქართულის ენის საუკეთესოდ სწავლების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო-გამოშვებით რეფერატების კითხვა ჰმართოს და სუსტ მასწავლებლებს გამოცდილ ამხანაგების სამაგალითო გაკვეთილები მოასმენინოს.

ს. გორგაძე.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 ივნისი.

ქრისტიანია, 7 ივნისი. გუშინ სტორტინგმა შვეციის მეფეს და რიგსტაგს ადრესი გაუგზავნა: „ის, რაც ნორვეგიაში მოხდა, უკანასკნელ პოლიტიკურ საქმეების აუცილებელ შედეგს წარმოადგენს. შვეციასა და ნორვეგიას არ სურთ ძველ წესწყობილებას დაუბრუნდნენ, ამიტომ სტორტინგს საჭიროდ არ მიაჩნია განიხილოს ის კითხვები, რომლებიც თქვენის უდიდებულესობის-მიერ სტორტინგის პრეზიდენტის სახელობაზე გაგზავნილ წერილშია აღნიშნული. სტორტინგს ძალიან კარგად ესმის თქვენის უდიდებულესობის მდგომარეობა და არც ერთს წუთს არ ეჭვობს, რომ თქვენის უდიდებულესობის გადაწყვეტილება მიღებულია თანახმად თქვენის შეხედულობისა მეფის უფლებების და მოვალეობის შესახებ; სტორტინგის გადაწყვეტილება უნიის გაუქმების შესახებ შვეციამ შეურაცხყოფად მიიღო; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის, რაც მოხდა, ნორვეგიის კონსტიტუციონალურ უფლებების სრულს გამარჯვებას წარმოადგენს. ნორვეგიას არას დროსაც არა სდომებია შვეციის შეურაცხყოფა. როდესაც თქვენმა უდიდებულესობამ უარი განაცხადა დაეკანონებინა სტორტინგის გადაწყვეტილება საკონსულო სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ და ნორვეგიას თხოვნისამებრ ახალი მმართველობა არ დაუნიშნა, ნორვეგიის კონსტიტუციაც დაირღვა, უნიის არსებობა შეუძლებელი გახდა. სტორტინგს დაუყოვნებლივ მთავრობა უნდა დაენიშნა. ნორვეგიის ხალხი მეგობრულ განწყობილებაშია შვეციასთან და შვეციის ხალხთან უკმაყოფილებას იწვევს მხოლოდ ნორვეგიის დამცირებული მდგომარეობა, რომელიც უნიის გაუქმების შემდეგ უნდა გამქრალიყო. საზოგადოებრივ უფლების თვალთა ხედვის ასრის თანახმად რომ განვსაჯოთ, ნორვეგია და შვეცია უკვე გაყოფილია, მაგრამ სტორტინგი მიმართავს დიდ-სულოვან ხალხს. ნორვეგიას სულითა და გულით სურს შვეციასთან კეთილი განწყობილება განაგრძოს“.

მინსკი. მოვიდა ცნობა, რომ ვილნის გუბერნიაში სოფელი მოლოდეჩნოე გადაიწვა. მცხოვრებლები, განსაკუთრებით ურიები, ძალიან დაზარალდნენ.

ფეცი, 6 ივნისი. მაროკკოს სამინისტრომ გადაწყვიტა უახლეში ხუთასი კაცი მიაშველოს. გერმანიის სელჩო სულთანთან დამოკიდებულებას განაგრძობს.

თავრიზი, 2 ივნისი. გუშინ ხმა გავრცელდა, რომ ერევანში მოჰკლეს სასულიერო პირი, თავრიზის მუშთაიდის ნათესავი. მაღაზიები დაიკეტა. ხალხის ბრბო შეგროვდა და ამაღელვებელ სიტყვებს [illegible]

კიევი, 6 ივნისი. ქალაქის ტრამვაის გამგეობამ მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი უმეტეს ნაწილად დააკმაყოფილა. ტრამვაი მუშაობს.

ხარკოვი, 7 ივნისი. მეფურნეთა გაფიცვა გრძელდება. საქმე დასაფიქრებელია. ორი დღეა, რაც ქალაქში ბევრი არ იშოვება და ბელგოროდიდან მოაქვთ. ადები უარობენ მეფურნეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე.

ლოძი, 7 ივნისი. ტორგოვი ქუჩაზე ბოროტმოქმედმა რევოლვერი ესროლა დარაჯს კორნილოვს. ტყვია მეორე მხარეს გავარდა. კორნილოვი მძიმედ დაიჭრა.

კრემენჩუგი, 7 ივნისი. „იუჟნოე სლოვო“-მ თავისი არსებობა მოსპო.

ვარშავა, 7 ივნისი. ათის დღის შეჩერების შემდეგ, ლეშნოვსკიმ „ვარშავსკაია გაზეტა“-ს გამოცემა განახლა.

პეტერბურგი. ოფიციალურად. დამატება და შესწორება 6 ივნისის ცირკულიარისა. 6 ივნისს დღის $12\frac{1}{2}$ საათზე, ფერმორის სასახლეში, პეტერგოფს, ბედნიერება მიეცათ და მის უდიდებულესობის წინაშე წარსდგნენ პეტერბურგში ჩამოსული საერობო და ქალაქის მოღვაწენი: 1) გრაფი პ. კ. გეიდენი, ოპოჩეცკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, პსკოვის საგუბერნიო ერობის ხმოსანი; 2) თავადი გ. მ. ლვოვი, ტულის გუბერნიის საერობო გამგეობის თავმჯდომარე; 3) ნ. ნ. ლვოვი, სარატ. საგუბერნიო ერობის ხმოსანი; 4) ი. ი. პეტრუნკევიჩი, ტვერის საგუბერნიო ერობის ხმოსანი; 5) ფ. ა. გოლოვინი, თავმჯდომარე მოსკოვის გუბერნიის საერობო გამგეობისა; 6) თავადი პ. დ. დოლგორუკოვი, რუზის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და უმაღლესის სასახლის კამერჰერი; 7) ნ. ნ. კოვალევსკი—ხარკოვის საგუბერნიო ერობის ხმოსანი; 8) ი. ა. ნოვოსილცევი, ტემნიკოვის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი; 9) ვ. ი. როდიჩევი, ტვერის გუბერნიის, ვერეგონის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის კანდიდატი, 10) თავადი დ. ი. შახოვსკოი, იაროსლავის საგუბერნიო ერობის ხმოსანი; 11) თავადი ს. ნ. ტრუბეცკოი, მოსკოვის უნივერსიტეტის ორდინარული პროფესორი; 12) ბარონი პ. ლ. კორფი, პეტერბურგის ქალაქის საბჭოს ხმოსანი; 13) ა. ნ. ნიკიტინი პეტერბურგის ქალაქის მოურავის მოადგილე ფედოროვი, პეტერბურგის ქალაქის მოურავის მოადგილე და 74) ფედოროვი—პეტერბურგის ქალაქის საბჭოს ხმოსანი. პროფესორმა თავადმა ტრუბეცკოიმ მის უდიდებულესობას შემდეგის სიტყვით მიჰმართა:

„თქვენო იმპერატორებითი უდიდებულესობავ! ნება გვიბოძეთ თქვენს უდიდებულესობას ჩვენი უღრმესი და გულწრფელი მადლობა მოვახსენოთ იმის გამო, რომ ჩვენის თხოვნის შემდეგ მივიღეთ. თქვენ მიხვდით იმ გრძნობებს, რომელიც გვახელმძღვანებდა ჩვენ აქ მოსვლისას და არ დაუჯერეთ იმათ, ვინც ჩვენ, საერობო და საზოგადო მოღვაწეთ, ტახტისა და რუსეთის თითქმის მოღალატედა გვთვლის. ჩვენ აქ მოგვიყვანა სამშობლოს სიყვარულმა და თქვენდამი მოვალეობამ. ჩვენ ვიცით, ხელმწიფეო, რომ თქვენ ამ წუთში ჩვენზე უფრო ძალიან იტანჯებით. ჩვენ გვსურს განუცხადოთ რითიმე და თუ ახლა, ასე არაჩვეულებრივად, გიახლით—გვენდეთ, რომ ჩვენ აქ მოსვლაგვაიძულა ჩვენმა მოვალეობამ ამ დასაერთო, საბედისწერო განსაცდელმა. ხელმწიფეო, იმ აღრეულობაში, რომელიც მთელს რუსეთს მოიცვა, ჩვენ [illegible] ჩასაქრობ შეთქმულებას არა ვხედავთ, ჩვენ ვხედავთ, მთავრობის უნებლიედ დამაძლიერებელ საერთო უთანხმოებასა და დანაწილებას. რუსის ხალხს ჯერ არ დაუკარგავს მამულიშვილური გრძნობა, ჯერ კიდევ სწამს თავისი მეფე და მტკიცე უძლეველობა რუსეთისა და სწორედ ამიტომაც ვერ მიმხვდარა, რად მოსდის ასეთი მარცხი. ხალხი გრძნობს, რომ იგი მოტყუებულია, ჰფიქრობს, რომ ატყუებენ მეფესაც. იმ დროს, როდესაც ხალხი ხედავს, რომ მეფეს სურს სიკეთე, ხოლო ბოროტება კი ითესება, მეფე უჩვენებს ერთზე და კეთდება კი მეორე, როდესაც ხალხი ხედავს, რომ თქვენის უდიდებულესობის კეთილ განზრახულებათ ჰკვეცავენ და ასრულებენ ისინი, ვინც პირდაპირი მტერია კეთილ ცვლილებათა—მაშინ ხალხს უფრო უმტკიცდება ის რწმენა, რომ იგი მოტყუებულია. უკვე წარმოითქვა საზარელი სიტყვა „ღალატი“ და ხალხი ეძებს ამ მოღალატეებს გენერლებშიაც, თქვენს მრჩევლებშიაც ჩვენშიაც და საერთოდ ყველა ბატონებშიაც, ხალხის ასეთის გრძნობით სარგებლობენ და ერთნი ხალხს უთითებენ მებატონეებზე, მეორენი—სოფლის მასწავლებლებზე, ექიმებზე, ნასწავლებზე. მცხოვრებთა ერთ ნაწილს მეორე ნაწილის წინააღმდეგ ამხედრებენ. მძულვარება—გულქვა და დაუნდობელის საუკუნოების განმავლობაში შეურაცხყოფითა და შევიწროებით ნაზარდი, მძულვარება, გამწვავებული მწუხარებითა და გაჭირვებით, უუფლებობითა და სასტიკ ეკონომიურ პირობებით—ზვირთდება, იზრდება და მით უფრო საშიშარი ხდება იგი, რომ პირველ ხანებში მამულიშვილობის სახეს ღებულობს,—და მით უფრო ცეცხლივით ედება ხალხს. აი, ის ბოროტი განსაცდელი, ხელმწიფეო, რომელიც ჩვენ,—ხალხში მცხოვრებლებმა,—გავითვალისწინეთ მთელის თავისის სიღრმით და რომლის შესახებაც მოვალედ ჩავთვალეთ ჩვენი თავი მოგვეხსენებინა თქვენის იმპერატორებითი უდიდებულესობისათვის, ყველა ამ შინაგან უბედურებათაგან თავის დასაღწევად ერთად-ერთი ის გზაა, რომელიც თქვენვე აღნიშნეთ, ხელმწიფეო—მოწვევა ხალხისაგან არჩეულითა. ჩვენ გვწამს ეს გზა, მაგრამ ვგრძნობთ კი, რომ ყველანაირი წარმომადგენლობა როდი შეუწყობს ხელს თქვენს კეთილ-განზრახულებათ; ეს გზა უნდა ემსახურებოდეს შინ მშვიდობიანობის დამყარებას, უნდა იყოს ამშენებელი და არა დამანგრეველი, შემაერთებელი და არა განმაცალკევებელი მცხოვრებთა ნაწილებისა; ის უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს წესწყობილების გარდაქმნას,—როგორც თქვენა გაქვთ ნაბრძანები. ჩვენ მონდობილი არა გვაქვს, რომ ახლავე ვილაპარაკოთ არჩევნების წესსა და იმ საბოლოო ფორმებზე, რომლებშიაც უნდა ჩამოყალიბდეს ხალხის წარმომადგენლობა. თუ ნებას გვიბოძებთ, ხელმწიფეო, მოგახსენებთ მხოლოდ იმის შესახებ, რაც გვაერთებს ჩვენ ყველას, რაც აერთებს რუსების უმრავლესობას, იმ უმრავლესობას, რომელსაც გულწრფელად სურს თქვენგან ნაჩვენების გზით სიარული: საჭიროა ყველა თქვენი ქვეშევრდომი ჰგრძნობდეს თავის თავს რუსეთის მოქალაქედ, საჭიროა, არც ერთი ნაწილი ანუ ჯგუფი მცხოვრებლებისა მოკლებული არ იყოს საარჩევნო უფლებებს, საჭიროა, განახლებულ წესწყობილების გარეშე არავინ დარჩეს, მისი მტრები არ შეიქმნენ, საჭიროა—არ იყვნენ უუფლებონი და უმწეონი. ჩვენ გვსურს, რომ ყველა თქვენი ქვეშევრდომი—თუნდა სისხლ-ხორცითა და სარწმუნოებითაც კი სხვა იყოს, რუსეთს უყურებდეს, როგორც თავისს სამშობლოს, თქვენ—როგორც თავის საკუთარ ხელმწიფეს. ჩვენ გვსურს, რომ თქვენი ქვეშევრდომნი თავის თავს უწოდებდნენ რუსეთის შვილად და შეიყვარონ რუსეთი ისე, როგორც ჩვენ გვიყვარს იგი. ხალხის წარმომადგენლობა უნდა ემსახურებოდეს შეერთებისა და შინაურ მშვიდობიანობის საქმეს. და ამიტომ ეს წარმომადგენლობა წოდებრივი არ უნდა იყოს. როგორც რუსეთის მეფე არაა მეფე მარტო თავად აზნაურებისა, მეფე მარტო გლეხებისა, მეფე მარტო ვაჭრებისა, არამედ იგი მეფეა სრულიად-რუსეთისა, ისე ხალხისგან არჩეულები და თქვენთან ერთად სამეფო საქმის გასაკეთებლად მოწვეულნი, წოდებრივს კი არა, საერთო სახელმწიფო ინტერესებს უნდა ემსახურებოდნენ. წოდებრივი წარმომადგენლობა დასთესავს შუღლსა და კერძოობას იქ, სადაც იგი სრულებით არ არის. შემდეგ, ხალხის წარმომადგენლობა უნდა ემსახურებოდეს „სახელმწიფო ცვლილებათა“ საქმეს. ბიუროკრატია არსებობს ყველა სახელმწიფოებში და თუ ჩვენ გავკიცხეთ იგი, ჩვენ გავკიცხეთ კერძო პირები კი არა, გავკიცხეთ „ბრძანებითი წესწყობილება“. განახლებულ წეს-წყობილებაში ბიუროკრატიამ უნდა დაიჭიროს შესაფერი ადგილი. ნება არ უნდა ჰქონდეს ძალად ეპატრონებოდეს თქვენს მეფურ უფლებებს, იგი პასუხის-მგებელი უნდა იყოს,—აი, ის საქმე, რასაც უნდა ემსახუროს ხალხის წარმომადგენლობა და რომელიც არ შეიძლება იყოს საკერებელი ძველ ბიუროკრატიულ დაწესებულებათა და თქვენსა და ხალხის შორის იგი, იმპერიის მაღალ ბიუროკრატიულ დაწესებულებათა სახით, კედელივით არ უნდა აღიმართოს. თქვენ თვითონვე დაინახავთ, ხელმწიფეო, ამას, როდესაც მოიწვევთ ხალხისგან არჩეულთ და ისე პირისპირ შეხვდებით, როგორც ახლა ჩვენ შეგხვდით. დასასრულ, თქვენგან განზრახული ცვლილებანი იმდენად ეხება რუსეთის ხალხსა და საზოგადოებას, რომელსაც ახლა თქვენ იწვევთ—რომ მას გულ-გრილად ვერ შეხვდებიან. ამიტომ საჭიროა ნება მისცეთ, ვრცლად და სავსებით იქონიონ მსჯელობა სახელმწიფო წეს-წყობილების შეცვლის შესახებ, და ეს ნება მისცეთ მარტო წარმომადგენელთა პირველ კრებაზე კი არა, არამედ ახლავე. პრესსასა და საზოგადო კრებებზე. ხელმწიფეო, ნდობაზე უნდა აშენდეს რუსეთის განახლება“. ამის შემდეგ პეტერბურგის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ნ. პ. ფედეროვმა მოახსენა: „ნება მიბოძეთ, თქვენო უდიდებულესობავ, თავად ტრუბეცკოის მოხსენებას დავუმატო ის, რაც აღელვებს ჩვენს ქალაქებსა. სოფელი და ქალაქი ისე ახლო დგანან ერთმანეთზე, რომ ერთის გაჭირვება მეორესაც უწევს. სოფლის ყოველივე გაჭირვება ცუდადვე მოქმედებს ქალაქის კეთილდღეობაზე, ღარიბდება სოფელი და ჩვენც გაჭირვებაში ვარდებით. ჩვენ არ შეგვიძლიან შიშით არ ვუყუროთ ახლო მომავალს. რაგვარადაც უნდა გადასწყვიტოს თქვენმა უდიდებულესობამ ომისა და ზავის საკითხი, ომი, ერთხელაც იქმნება, გათავდება, და მაშინ იძულებული ვიქნებით, ეკონომიური და ფინანსიური ჭრილობანი მოვირჩინოთ. წინდაწინვე ვგრძნობთ, რომ ამის გამო ჩვენის ქალაქის ბიუჯეტს წელიწადში რამდენიმე მილიონი დაემატება, ამ მილიონების საშოვნელადა და ხარჯის დასაფარავად საჭიროა, დავიწყოთ დიდი კულტურული მუშაობა, ვიზრუნოთ ქვეყნის საწარმოო ძალთა აღორძინებისათვის, ეს კი მოხერხდება მაშინ, როდესაც სასიცოცხლოდ მოწვეულ იქმნება ხალხის ცხოველი ძალები და საზოგადოების თვით-მოქმედება. მართალია, თქვენს უდიდებულესობას ჰყავს ნიჭიერი მოხელენი, მაგრამ რიცხვით მცირენი არიან და ხალხის გაჭირვებასა და მოთხოვნილებას უმზერენ კაბინეტებიდანა და კანცელარიებიდან, მაშინ, როდესაც მომავალ მოღვაწეობისათვის საჭიროა ისეთი ხალხი, რომელიც ცხოვრებას თვითონ ატარებს. აი, ამიტომ ქალაქებიც უერთდებიან საერობო მოღვაწეთა ხმას, რომელთა დედა-აზრიც თავადმა ტრუბეცკოიმ მოგახსენათ“. მისმა უდიდებულესობამ კეთილ ინება და უპასუხა. „მოხარული ვარ, რომ გისმენთ. ეჭვი არა მაქვს, ბატონებო, რომ თქვენ ხელმძღვანელობდით დიადის სიყვარულით სამშობლოსადმი, როდესაც თქვენ პირდაპირ მე მომმართეთ. მეც თქვენთან და ჩემ ხალხთან ვწუხარ და ვგლოვობ იმ უბედურებათა გამო, რომლებიც რუსეთს ომმა თავს დაატეხა და რომლებიც კიდევ მოსალოდნელია. ვწუხარ აგრეთვე შინაურ ამბოხებისა გამო, მაგრამ უკუ აგდეთ თქვენი ეჭვი. ჩემი სიტყვა—სიტყვაა მეფისა, შეუდრეკელი, და მოწვევა ხალხის წარმომადგენლებისა სახელმწიფო მუშაობისათვის, უნაკლულოდ შესრულებული იქნება. მე ყოველ-დღე თვალყურს ვადევნებ და თავს ვადგევარ ამ საქმეს; თქვენ შეგიძლიათ ეს ამცნოთ თქვენს მახლობელთ, მცხოვრებთ სოფლად და ქალაქად. მე შეურყევლადა მრწამს, რომ ამ განსაცდელისაგან რუსეთი განახლებული გამოვა. დაე, დამყარდეს, როგორც ძველად იყო, მეფესა და რუსეთის ხალხს შორის ურთი-ერთობა, დაე, დამყარდეს ჩემსა და საერობო მოღვაწეთა შორის ისეთი დამოკიდებულება, რომელიც რუსეთის თვითარსებით განმტკიცებულ წესიერებას საფუძვლად დაედება. მე მრწამს თქვენი გულწრფელი სურვილი ამ საქმეში დახმარებისათვის“. ამის შემდეგ ხელმწიფემ ყველა მის წინაშე წამდგარნი უმოწყალესის საუბრით გააბედნიერა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

7 ივნისი.

გუნჯულინი, 7 ივნისი. (საკუთ. კორ.) საერთო მდგომარეობა უცვლელად არის. გუნჯულინთან სიწყნარეა. უკანასკნელ იერიშის დროს დატყვევებული იაპონელები რუსეთში გაისტუმრეს.

პარიზი, 7 ივნისი. ადმირალი რიშერი შორეულ აღმოსავლეთში მთავარ უფროსად ინიშნება. იაპონიის გამარჯვება აფორიაქებს და საგონებელში აგდებს ვაშინგტონს. ფლოტს შესაფერად გააძლიერებს. ვაშინგტონის სარწმუნო წრეები ამტკიცებენ, რომ, რაწამს იაპონია რწმუნებულთ დაჰნიშნავს, რუზველტი წინადადებას მისცემს იაპონიას, ომი შეაჩეროს. იაპონია მხოლოდ იმ პირობით დასთანხმდება, თუ ლინევიჩი და ოიამაც ხელს მოაწერენ ომის შეჩერებას. იაპონია მოითხოვს, რომ რწმუნებულთა თათბირი 19 ივლისს მოხდეს ვაშინგტონში. რწმუნებულნი ჯერ არ დაუნიშნავს იაპონიას.

გერმანიის სარწმუნო წყაროები იუწყებიან, რომ გერმანიას საფრანგეთთან შეთანხმება სურს, მარტო მაროკკოს შესახებ კი არა, საზოგადოდ საფრანგეთ-გერმანიის კოლონიების შესახებაო.

ტოკიო, 6 ივნისი. საზავო თათბირისათვის წარმომადგენელთა მომავალი შეხვედრა დიდს მითქმა-მოთქმას იწვევს. ვაშინგტონიდან მოსულ ცნობებიდანა სჩანს, რომ შეხვედრის დაწვრილებით პირობების გამორკვევა მალე დამთავრდება. ახლა სახელმწიფო პირთა, მინისტრთა და უხუცესთა თათბირია გამართული ზავის პირობებსა და რწმუნებულთა არჩევნებზე. ამბობენ, მალე დაამთავრებენ თათბირს და წარმომადგენლნი,

ფელეტონი

დამფუძნებელი კრება

პირდაპირი საარჩევნო უფლება.

ყოველი ჩვენგანი მოვალეა საყოველთაო არჩევნებთან ერთად პირდაპირი საარჩევნო უფლებაც მოითხოვოს.

პირდაპირი საარჩევნო უფლება იმას ნიშნავს, რომ მოქალაქეებმა თავიანთი წარმომადგენლები პირდაპირ უნდა აირჩიონ იმ დაწესებულებაში გასაგზავნად, რომელიც ხალხისთვის კანონებს ადგენს და სახელმწიფო საქმეებს განაგებს. პირდაპირ არჩევანს გარდა, სხვა გვარი არჩევანიც არის,—არაპირდაპირი, ანუ, როგორც სხვანაირად ამბობენ, ორკეცი. ეს ორკეცი არჩევანი იმას ნიშნავს, რომ მოქალაქენი პირდაპირ დეპუტატს კი არ აირჩევენ საერო წარმომადგენლობაში, არამედ რწმუნებულებს, რომელთაც დეპუტატის არჩევა ექნებათ მინდობილი. მაგრამ ამას ვინ ჩივის! ხშირად ისეც არის, რომ არც ამ რწმუნებულთ აქვთ თავიანთებიდან დეპუტატების არჩევის უფლება; ამ შემთხვევაში დეპუტატებს მათ შორის მთავრობა ნიშნავს.

ამგვარ წესით ირჩევენ გლეხები ერობაში: გლეხები თავიანთებიდან ირჩევენ წარმომადგენლებს; წარმომადგენელნი ირჩევენ კანდიდატებს საერობო კრებაში; მაგრამ არც ამით თავდება საქმე: ამ კანდიდატებიდან გუბერნატორი ირჩევს ისეთ ხმოსნებს საერობო საკრებულოში, რომელნიც „ღირსნიც“ არიან და გუბერნატორის „ნდობაც“ აქვთ დამსახურებული. ამრიგად, ერობაში ხმოსნების ასარჩევად გლეხებს ორკეცი კი არა, სამკეცი საარჩევნო „უფლება“ აქვთ და ისიც გუბერნატორის ზედამხედველობითა და მფარველობით! ცხადია, რომ აქლემი უფრო ადვილად მოახერხებს ნემსის ყუნწში გაძრომას, ვიდრე—ამისთანა გაცხავების შემდეგ—გლეხთა მფარველი—საერობო საკრებულოის ხმოსნად არჩევას. ვინ არ იცის, რომ ღარიბ-ღატაკთა მფარველი და მშრომელ ხალხის ინტერესების მცველი, მთავრობის აზრით, „სანდო“ არ არის და ამიტომ ამისთანა კაცს არც გუბერნატორის მფარველობის იმედი უნდა ჰქონდეს.

მაგრამ, ვთქვათ, ორკეც არჩევნების დროს მთავრობა განზე დგას და საქმეში არ ერევა. ვთქვათ, გლეხები თავისუფლად ირჩევენ რწმუნებულებს, ესენი კი თავიანთებიდან—დეპუტატს. არც ეს არის მშრომელ ხალხისთვის ხელსაყრელი. მთავრობა იმიტომ ატარებს ცხრილსა და საცერში ამომრჩევლებსა და ამორჩეულებს, რომ საერო წარმომადგენლობაში ან დამფუძნებელ კრებაში ხალხის მეგობრები არ მოჰყვნენ. მართლაცა და, აბა ერთი დააკვირდით, რას ნიშნავს ეს ორკეცი არჩევანი, ან ვისთვის და რა მიზნით არის ის მოგონილი: მთელ ოლქის-მიერ ამორჩეული რწმუნებულნი ერთ ადგილას უნდა შეიკრიბნენ და დეპუტატი ამოირჩიონ. ღარიბ-ღატაკი წინდა-წინვე ძნელად თუ გაანაწილებს თავის დროს. იქნება, რწმუნებულის სწორედ იმ დროს, როცა იგი დეპუტატის ასარჩევად უნდა წავიდეს, ისეთი საქმე გაუჩნდა, რომ მისი გადადება შეუძლებელია? ეს ძალიან ხშირად და ადვილად მოხდება, ამიტომ მუშა, გლეხი და საზოგადოდ ღარიბ-ღატაკი ყოველთვის ეცდება, რომ არჩეულ არ იქმნას რწმუნებულად და ამ საქმეს სულაც თავს მოარიდებს. იმათ მაგივრად კი უმეტეს ნაწილად არჩეულ იქნებიან შეძლებულნი, მდიდარნი. ამას კი ის მოჰყვება, რომ დამფუძნებელ კრებაშიაც მხოლოდ მდიდრები—კაპიტალისტები და მემამულეები—მოჰყვებიან. ხოლო როგორ იზრუნავენ ეს ვაჟბატონები ღარიბებზე და მშრომელ ხალხზე—ეს ყველამ უნდა იცოდეს და იცის კიდევაც.

მაგრამ ესეც არა კმარა. ყოველ საარჩევნო ოლქში 25—30 ათასი ამომრჩეველია და ზოგჯერ მეტიც. ვერც მთავრობა და ვერც მდიდარი ვინმე ამოდენა ხალხს ვერ მოიმადლიერებს, ვერ მოისყიდის და ვერ აარჩევინებს იმ დეპუტატს, რომელიც იმათ უნდათ. მაგრამ, თუ მთელი საქმე რაღაც 200 და 300 რწმუნებულს აქვს ჩაბარებული, მაშინ ჩარხი, შეიძლება, სულ სხვანაირად დატრიალდეს. მთავრობაცა და მდიდარიც ადვილად მოახერხებენ რწმუნებულთა მოსყიდვას, მომადლიერებას, ხელში ჩაგდებას: მღვდელს შემოსავლიან მრევლს დაჰპირდებიან, მემამულეს—ათასნაირ შეღავათს, ვაჭარს დიდ და სახეირო სამუშაოს მისცემენ ნარდად, შეძლებულ გლეხს ვალების აკრებაში დაეხმარებიან, შეუგნებელსა და განუვითარებელ მუშას „ჩინ“-სა და სამსახურს მისცემენ და ამრიგად საქმეს გაიჩარხავენ: რწმუნებულთა ნახევარი მოსყიდული იქნება და დიდის სიამოვნებით აირჩევს იმ კაცს, ვისზედაც ან მთავრობა მიუთითებს, ან მდიდარი მემამულე და ვაჭარი; სინდისს კი ჯიბეში უკრავენ თავსა. ამიტომ ყველგან, სადაც კი ორკეცი, არაპირდაპირი არჩევანია შემოღებული, მშრომელი ხალხი იშვიათად თუ მოახერხებს პარლამენტში თავის მეგობრის არჩევას. რაღა შორს მივდივართ: ავიღოთ, მაგალითად, გერმანია. დემოკრატ დეპუტატებს 3 მილიონი კენჭი აქვთ და პარლამენტში (რეიხსტაგში) 81 დეპუტატი ჰყავთ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ გერმანია რამდენსამე პატარა სახელმწიფოებად არის დაყოფილი და ყოველ ამისთანა სახელმწიფოში შემოღებულია სხვადასხვა საარჩევნო სისტემა და წესი. ამ პატარა სახელმწიფოების საქმეებს მართავს ლანდტაგი, სადაც წევრებს ხალხი ირჩევს. არჩევანი ყველგან პირდაპირია, გარდა პრუსსიისა სადაც ორკეცი, არაპირდაპირი არჩევანია დაწესებული. ამის გამო შარშან პრუსიელმა მუშებმა ლანდტაგში ვერც ერთი თავისი კანდიდატი ვერ აირჩიეს. მართალია, ამ მუშებმა ბლომად აირჩიეს ამომრჩევლები, რწმუნებულნი, მაგრამ ორკეც არჩევნების დროს საქმე ისე ეშმაკურად არის მოწყობილი და ისეთ ხრიკებით არის მოჯადოებული, რომ მუშების რწმუნებულნი ყოველგან უმცირესობას შეადგენდნენ.

ავიღოთ მეორე სახელმწიფო—ავსტრია. იქ მოქალაქენი 4 ნაწილად არიან დაყოფილნი: 1) მდიდარი მემამულენი ან ისინი, ვინც ბლომად იხდის პირადაპირ გადასახადს (ეს წესი გალიციაშია); 2) ქალაქების მცხოვრებნი; 3) ვაჭრები და მრეწველნი და 4) სოფლელები. მემამულეებს, ვაჭრებს, ქალაქელებსა და საზოგადოდ შეძლებულებს პირდაპირი საარჩევნო უფლება აქვთ მინიჭებული, სოფლელებს კი—ორკეცი. ასეთივე წესია შემოღებული ჰოლანდიაში, ესპანიაში, პორტუგალიაში, შვეიცარიაში და ბევრგან სხვაგანაც. პირდაპირი საარჩევნო უფლება შემოღებულია მხოლოდ ინგლისში, საფრანგეთში, უნგრეთში, ამერიკაში და სხ.

პრუსიის მაგალითიდან ცხადად სჩანს, რომ მშრომელ ხალხისთვის პირდაპირ საარჩევნო უფლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ზოგი ვითომდა ხალხის მეგობარი ყოველნაირად ცდილობს დაამტკიცოს, ვითომ პირდაპირი არჩევანი მოუხერხებელია, რადგან რუსეთი დიდი სახელმწიფოაო, არჩევნების მოხდენა ძნელიაო, ორკეცი არჩევანი კი ადვილიც არის და კარგიც, რადგან ორკეც არჩევნების დროს დეპუტატების არჩევა „წყნარად“ და „მოფიქრებულად“ მოხდებაო, და სხვა, და სხვა. ეს მხოლოდ სიცრუეა და სხვა არაფერი! ორკეც არჩევნების მომხრეებმა მშვენივრად იციან დასავლეთ ევროპის მაგალითებიდან, რომ ორკეცი არჩევანი სახალხო არჩევანი არ არის, რომ ეს არჩევანი მშრომელ ხალხს საარჩევნო უფლებასართმევს და ცალიერზე სვამს. ეს ვაჟბატონები იმიტომ ექომაგებიან ორკეც არჩევნებს, რომ ხალხის მოტყუება უნდათ და „მოუხერხებელ“ პირდაპირ არჩევანსაც ამიტომ იწუნებენ. ბევრი ჰყვირის, საარჩევნო უფლება საყოველთაო და თანასწორი უნდა იყოსო, მაგრამ პირდაპირ საარჩევნო უფლებაზე კი კრინტსაც არა სძრავენ. „ხალხის“ ამისთანა მეგობარს ყოველთვის უნდა ჰკითხოთ, რა აზრისაა ის პირდაპირ არჩევნებზე და, თუ მხრები შეიშმუშნა, დაფიქრდა, ან სიტყვა ბანზე აგდო და თავის მართლება დაიწყო, იცოდეთ, რომ ეს ვაჟბატონი ხალხის მეგობარი კი არ არის, არამედ მატყუარა და ყალბი ვიგინდარაა.

ფარული კენჭის ყრა.

ფარული კენჭის ყრა იმას ნიშნავს, რომ არავინ იცოდეს და ვერც მოახერხოს იმის გაგება, თუ ვის მისცა ამა თუ იმ ამომრჩეველმა თავისი კენჭი, ვინ დაასახელა ამ ამომრჩეველმა დამფუძნებელ კრებაში. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ ამომრჩეველმა თავისი კენჭი თავისუფლად მოიხმაროს და იმას მისცეს, ვინც უნდა. საჯარო—ახდილ კენჭის ყრის დროს ამომრჩეველი ამ თავისუფლებას მოკლებულია: მუშას სამუშაოს დაკარგვისა ეშინიან, მოხელეს—სამსახურისა, ნოქარს—ადგილისა და ამიტომ ზოგნი იმას კი არ აძლევენ თავის კენჭს, ვინც თვითონ უნდათ, და ისე კი არ იქცევიან, როგორც სინიდისი ურჩევს, არამედ იმას, რასაც მთავრობა და ბატონი უბრძანებენ. აუცილებლად საჭიროა, ბატონებმა და მთავრობამ არ იცოდნენ, თუ ვის აძლევს თავის კენჭს მუშა, გლეხი, მოხელე და საზოგადოდ ის, ვინც სხვას შესცქერის ხელში და თავის მარჯვენით შოულობს ლუკმა-პურს. მრავლად მოიპოვებიან ისეთი „კეთილშობილნი“, რომელნიც ამაყად და გაბედულად ამბობენ, ფარული კენჭის ყრა ლაჩრების საქმეა, მოქალაქეს კი იმდენი გამბედაობა უნდა ჰქონდეს, რომ თავისი აზრი საჯაროდ და ხმა მაღლა გამოსთქვასო! რაც მართალია—მართალია! ამის წინააღმდეგ ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამგვარ კეთილშობილებას არც ისეთი დიდი ფასი აქვს, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. არავის და არადროს არ უნდა დაავიწყდეს, რომ აუარებელი ხალხი დაჩაგრულია, დაბეჩავებულია, საშინელ სიღარიბეში ცხოვრობს და გონებრივადაც დაბალ საფეხურზე სდგას. ყველა მათგანი თავის მარჯვენით ცხოვრობს, ბატონს შესცქერის და სად წავიდეს, ან რა ქნას, როცა ამ მოქალაქობრივ გამბედაობით ადგილს დაჰკარგავს, ლუკმა პური მოაკლდება და, ვინ იცის, რა არ დაემართება. რასაკვირველია, ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ამ აუარებელ ღარიბ-ღატაკს ერთი პირი ჰქონდეს, რომ ყველამ გაბედულად და გულ-ახდილად გამოაცხადოს თავისი აზრი და მიმართულება, მაგრამ უბედურებაც სწორედ ის არის, რომ ერთ პირის შეკვრა შეუძლებელია; ყველა გმირი არ არის და დღევანდელ პირობებში გმირობა ყველას არც მოეთხოვება. საჭიროა ხალხში მოქალაქობრივი გამბედაობა განვითარდეს, ამისთვის კი ჯერჯერობით მხოლოდ ის არის საჭირო, რომ ყველა თავის თავს მოქალაქედ გრძნობდეს. ეს კი არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ზოგიერთს ჰგონია. როცა ამოდენა აუარებელი ხალხი სიბნელიდან გამოვა და ყოველი მათგანი შეგნებული მოქალაქე გახდება, როცა ყველა შეუდრეკელ გამბედაობითა და შეურყეველ სიმტკიცით დაიცავს თავის უფლებებს, როცა ბოლოს მოეღება დაჩაგვრას, ექსპლოატაციასა და ძარცვა-გლეჯას,—მაშინ აღარც უფროსების შიში იქნება, აღარც ახლანდელი უსამართლო მთავრობა და აღარც აწ არსებული უსამართლობა, უთანასწორობა, სიდუხჭირე და ისეთი კანონები და წესები, რომელნიც ამ უსამართლობასა და ერთი-მეორის დაჩაგვრას იცავენ და ხელს უწყობენ.

დღე-დღეობით კი ამისთანა საქებარი გამბედაობა ბევრს არ მოეპოვება და, მაშასადამე, ბევრნი კენჭს სინიდისის მიხედვით არ ჩააგდებენ და ამით, არა თუ ამ სინიდისს არ განასპეტაკებენ, არამედ, პირიქით, გარყვნიან და გააჭუჭყიანებენ კიდევაც. ესეც რომ არ იყოს, ამისთანა შეუგნებელ და სინიდის-გაყიდულ ამომრჩეველთა-მიერ არჩეული დეპუტატები ისეთ კანონებს გამოსცემენ, რომელნიც ხალხში განვითარებასა და მოქალაქობრივ შეგნებას შეაჩერებენ და შეაფერხებენ. მიზეზი კი ის არის, რომ მყვლეფავებმა და ადმინისტრაციამ კარგად იციან, რომ, როცა ხალხი სავსებით შეიგნებს თავის ინტერესებსა და საჭიროებას, ამ ვაჟბატონებსაც ბოლო მოეღება და ხალხი იმათ ბატონობასაც აღარ მოისურვებს,

ამალის თანხლებით, 17 ივნისს დანიშნულ ალაგს „იმპერატრიცა ინდია"-თი გაემგზავრებიანო. ბრძოლის ველზე საქმე სწრაფად მიდის წინ. მოელიან, რომ ბრძოლის ველზე მალე დიდმნიშვნელოვანი ოპერაციები მოხდებაო (რეიტერი).

ბერლინი, 7 ივნისი. „ბერლინერ-ტაგებლატ"ს ნიუ-იორკიდან დეპეშით ატყობინებენ: რუზველტი იაპონიას ურჩევს, ზავისთვის სამის თვით შეაჩერე ომიო. წინადვე დამზადებულ ოქმს კასსინი და ტაკახირა მოაწერენ ხელსაო. ამბობენ, ვითომ რუსეთი პირობას აძლევს, ამ დროის განმავლობაში ბრძოლის ველზე არავითარი მაშველი ჯარი არ გაჰგზავნისო. ხმა დადის, ლინევიჩმა ხარბინისაკენ დაიხიაო.

პეტერბურგი, 7 ივნისი. წყნარ-ოკეანის მეორე რაზმის უფროსი კონტრ-ადმირალი ბელკემიშევი ბალტიის მომქმედ ესკადრის უფროსად დაინიშნა.

პარიზი, 7 მაისი. ტიანძინში კრება მოხდა, რომელსაც ჩინეთის 17 ოლქის სოვდაგარი დაესწრო. გადასწყვიტეს, ამერიკის წინააღმდეგ აგიტაციას ხელი შეუწყონ და ამერიკულ საქონლის შემომტანები 50,000 ტაელით დააჯარიმონ. პორტ-არტურში მოსახლე ევროპიელი სოვდაგრები, იაპონელების ბრძანებით, იბარგებიან და თავის საქონლიანად მიდიან პორტ-არტურიდან.

ვაშინგტონი, 7 ივნისი. ხმა დადის, რუზველტი შიშობს, მანჯურიის ახალმა სისხლის ღვრამ დაწყებულ სამშვიდობო მოლაპარაკებას, ხელი არ შეუშალოსო. ამისთვის იგი დაბეჯითებით თხოულობს, დაუყოვნებლივ შეაჩერეთ ბრძოლა და ზავის თათბირს შეუდექითო.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ზავი და დროებითი შერიგება. რუსეთის ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, თუ ომი გაგრძელდა, ფულის შოვნაზე უარს ვამბობ და სამსახურიდან გავდივარო. უცხოელები აცხადებენ, თუ რუსეთმა ზავი არ ჩამოაგდო, კაპეიკსაც აღარ ვასესხებთ, უჩვენოდ კი ერთ დღესაც ვერ გასძლებსო (რ.).

„ეკო დე პარის" ტოკიოდან ატყობინებენ: იაპონიაში ცერად უყურებენ ზავსა. ჯარი და ხალხი პირდაპირ აცხადებს, თუ ზავი ჩამოაგდეთ და იაპონიას გამარჯვების ნაყოფი არ მოამკევინეთ, ავჯანყდებითო (რ. ს.).

მარშალმა ოიამამ იაპონიის იმპერატორს წერილი გაუგზავნა და ჯარის სახელით პროტესტი განუცხადა ზავზე ლაპარაკის დაწყების გამო. მარშალი ოიამა თხოულობს, დღეს თუ ხვალ, რუსეთის ჯარს შევებმევი ღ მერე, როგორც გინდათ, ისე მოიქეცითო. იაპონია ისე არას დროს არ ჩამოაგდებს ზავს, თუ რუსეთმა საომარი ხარჯი არ დაუბრუნა. მიკადომ ძალიანაც რომ მოინდომოს შეღავათიან პირობებით ზავის ჩამოგდება, ამას ვერ იზამს, რადგან ხალხი რევოლუციით აშინებს (რ. ვ.).

რუსეთის სარდლებმაც პროტესტი განაცხადეს, ომი და გამარჯვება გვინდაო. ლინევიჩი, კუროპატკინი და სხვანიც—მუკდენისა, ლიაოიანისა, ხაიჩენისა, იალუსა და ვაფანგოუს „გმირები"—სხვათა შორის, იწერებიან: ჩვენი ჯარი მშვენიერ გუნებაზეა და სულითა ღ გულით უნდა იაპონელებს სამაგიერო გადაუხადოს. იმედი გვაქვს, ამ ცოტა ხანში გამარჯვებას მოვიპოვებთ. იმედი გვაქვს, ამ თვეში იაპონელებზე იერიშს მივიტანთ და გავიმარჯვებთ კიდევაც (რ. ვ.).

სამხედრო საქმის მცოდნენი კი ამტკიცებენ, მომავალ ბრძოლაში ლინევიჩი ისე დამარცხდება, რომ ამისთანა დამარცხება ჯერ არავის ეგემოსო. ამისთანა დროს იაპონიის ჯარი ზავს, რასაკვირველია, არ მოინდომებსო (რ. ს.).

პარიზიდან „ბირჟ. ვედ."-ს ატყობინებენ: დროებითი შერიგება არ მოხდება ღ, თუ მოხდა, რუსებმა იაპონელების პირობები უნდა მიიღონ. იაპონელებს უნდათ გირინისკენ ბლომად გაგზავნონ ჯარი, ვლადივოსტოკს გზა მოუჭრან და ალყა შემოარტყან. ლინევიჩი კი ამით იძულებული გახდება ხარბინისკენ დაიწიოს. იაპონელები ლინევიჩს იმ დრომდის არ დაედევნებიან, სანამ დროებით შერიგებას ვადა არ გაუვა (რ. ვ.).

სუვორინის მოგონება. „ნოვ. ვრ."-ს გამომცემელი სუვორინი მხოლოდ ახლა იგონებს ერთ სადილს, რომელიც შარშან ჯავშნოსან „ალექსანდრ III-ზე" მოხდა. ჯავშნოსანი რამდენისამე დღის შემდეგ შორეულ აღმოსავლეთში უნდა წასულიყო. სადილზე ამ გემის უფროსი, კაპიტანი ბუხვოსტოვი, წამოდგა და სთქვა: „თქვენ, ბატონებო, ამ გემებს უყურებთ და ფიქრობთ, რა კარგად არის ყველაფერი მოწყობილიო. მე კი გეუბნებით, რომ აქ ყველაფერი კარგად არ არის მოწყობილი. თქვენ გამარჯვებას გვისურვებთ, მაგრამ ამ გამარჯვებას ვერ მოესწრობით. ნახევარ ესკადრას ან გზაში დავკარგავთ, ან, თუ მშვიდობიანად მივაღწიეთ შორეულ აღმოსავლეთს, იაპონელები გაგვანადგურებენ. ასე თუ ისე, ჩვენგან გამარჯვებას ნუ მოელით"! (ნ. ვ.).

ნებოგატოვის ესკადრის დატყვევება, „ტაიმსის" აზრით, პირდაპირი შედეგია შარშან მომხდარ მეზღვაურთა აჯანყებისა. ამ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო 10 აფიცერმა (ჩ. პ.).

ახალი ამბავი

როგორც ვიცით, რუსეთში შესდგა სრულიად-რუსეთის ინჟენერთა კავშირი; ამ დღეებში **ტფილისში ინჟინერთა კრება** უნდა მოხდეს სამისო **ბიუროს დასაარსებლად.**

✦ ინჟენერთ **რაკიტინისა და პოკროვსკის ადმინისტრაციამ გამოუცხადა:** ოთხის დღის განმავლობაში **მუშის მონტინის** ბინა გვაჩვენეთ, ან ბაქოდან აიბარგეთო. მონტინი იმ ქარხანაში მუშაობდა, სადაც ეს ინჟენრები მსახურებენ (პრავო).

✦ 4 ივნისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია **ივ. კერესელიძის საქმე**, რომელმაც იანვარში მომხდარ დემონსტრაციის დროს წითელ ბაირაღის ქვეშ მიიმხრო ხალხი და მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია მოახდინაო. სასამართლომ კერესელიძეს 4 თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

✦ ქართლ-კახეთის სინოდალურ კანტორამ **ბლ. დეკანოზს მარკოზ ტყემალაძეს**, როგორც ბლაღოჩინს, საქმეები მიანდო ალსასრულებლად, მაგრამ მან არ მიიღო. ბლაღოჩინობაზე უარი განვაცხადე და ჩემს თავს გადამდგარად ვთვლიო.

✦ ქართლ-კახეთის სამღვდელოების არჩეულ დეპუტაციას განუზრახავს სულთან-კრიმ-გირეის სთხოვოს, რომ რეზოლუციის ასლი მიეცეს დასაბეჭდად და სამღვდელოებისათვის და სარიგებლოდ.

✦ **ტფილისის სომხეთა საზოგადოებამ** დეპუტაცია აირჩია 31 მაისს მომხდარ ინციდენტის გამო ქართველ სამღვდელოებისათვის **თანაგრძნობის გამოსაცხადებლად.** დეპუტაციაშია: ცნობილი მწერალი ალ. შირვანზადე, ნაფ. ვექ. ს. ს. მელიქ-ადამოვი, ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების თავჯდომარე პ. ს. ღამბაროვი, ნაფ. ვექ. მ. ი. პაპაჯანოვი და ექიმი ა. ი. ხატისოვი. (ტ. ლ.)

✦ ტფილისის გუბერნიის **თავად-აზნაურობამ** 6 ივნისის საგანგებო კრებაზე **დაადგინა:** 31 მაისს მომხდარ ინციდენტის გამო **ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოებას** თანაგრძნობის ადრესი გაუგზავნოს. (ნ. ო.).

✦ პეტერბურგიდან ტფილისის **ქალაქის მოურავი ქრ. ა ვერმიშევი დეპეშით იუწყება:** „ქალაქის მოურავებს, 24 მაისის კრებაზე, მოსკოვში თათბირი ჰქონდათ დღევანდელის ცხოვრების ვითარებაზე. კრებამ სასურველად მიიჩნია, რომ ასეთი სხდომები დრო-გამოშვებით მოახდინონ ხოლმე, სადაც ქალაქის საჭიროებაზე ითათბირონ. ასეთი კრება 15 ივნისისათვის დანიშნეს მოსკოვშივე. მოურავთა სხდომა შეიმუშავებს კრების პროგრამას და განიხილავს სხვადასხვა საგნებს 1904 წ. 12 დეკემბრის უმაღლეს ბრძანებისა და 2 და 18 თებერვლის რესკრიპტის ფარგლში. ამ კრებაზე დასასწრებლად მეც მიმიწვიეს ორის რწმუნებულის ხმოსნით. საბჭოს მოხსენება წარუდგინეთ ამის შესახებ და დეპეშით მიპასუხეთ" (ნ. ო.).

✦ სამშაბათს, 7 ივნისს, სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში **მოქალაქეთა კრება შესდგა.** კრებას უნდა დაემტკიცებინა ახლად არჩეული დეპუტატები. ქართველებმა ფიცის მიღება ქართულ ენაზე მოითხოვეს. მაგრამ ფიცის ფურცელი ქართულ ენაზე შედგენილი ვერ იშოვნეს. ბოლოს ს. მერკვილაძე შეუდგა თარგმნას. ფიცს შემდეგ არჩეულ იქმნა კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს რეზოლუცია და ადრესი სამღვდელოებისადმი თანაგრძნობის გამოსაცხადებლად 31 მაისის ინციდენტის გამო. ამ რეზოლუციის შესამუშაველად არჩეულ იქმნენ ლ. ა. მამულაიშვილი, დანდუროვი, ადამიძე, საათსაზოვი, გოლიაევი და ს. მერკვილაძე.

✦ დღემდის **ფოსტა-ტელეგრაფში** მიღებულ ქალ-კანდიდატებს უჯამაგიროდ ამსახურებდნენ. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ამჟამად აცნობა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს, რომ ეს **ქალები უჯამაგიროდ აღარ ამსახუროთ** და კანდიდატად მიღების დღიდანვე თვეში 8 მანათი და 10 კ. დაუნიშნეთო.

✦ როგორც **თიანეთიდან და თელავიდან გვატყობინებენ**, ნიაღვარს გზები ისე გაუფუჭებია, რომ **მიმოსვლა შესწყდა.**

✦ ს. სვირიდან (ქუთ. მაზრა) გვატყობინებენ: პირველ ივნისს, საღამოს შვიდ საათზე, **სეტყვამ თითქმის ნახევარ სოფლის ვენახები სულ გააფუჭაო.**

✦ ტფილისის გუბერნიის **თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე თავ. ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი დეპეშით მიიწვიეს მოსკოვში** საგუბერნიო მარშლებმა გუდოვიჩმა და თავ. ტრუბეცკოიმ. მიზეზი მიწვევისა ის არის, რომ 12 ივნისს მოსკოვში სრულიად-რუსეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლების კრებაა დანიშნული. (ნ. ო.).

✦ რკინის გზის მთავარმა გამგეობამ დეპეშით აცნობა ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს, რომ გზათა მინისტრმა, სათანადო დაწესებულებებთან შეთანხმებით, პირველ ივნისიდან ბაქოს სადგურზე **ნავთის ბაჟი** ფუთზე $^1/_{40}$ კაპეიკის მაგივრად $^1/_{30}$ კაპეიკი დააწესო.

✦ წყალდიდობამ მდინარე **იორისა და გომბორის წყალზე ხიდები წაულეკნია.**

✦ გუშინ, 8 ივნისს, საქართველოს ეგზარხოსს ბლ. მღ. მ. მახათაძემ მოახსენა, ბლაღოჩინობაზე უარი არ გამიცხადებიაო.

✦ დღეს, 9 ივნისს, სათავად-აზნაურო სკოლის შენობაში **დანიშნულია სხდომა იმ კერძო კრებისა, რომელმაც უნდა განიხილოს** მოხსენება სათავად-აზნაურო სკოლის რეფორმების შესახებ.

✦ ქალაქის საყასბოებში ამჟამად დღეში 30—35 სული მსხვილ-ფეხი საქლავი იკვლის. **საქალაქო ხორცის დუქნებში ვაჭრობა 1—2 საათამდე გრძელდება.** ყასბები დაუღალავად შრომობენ, მაგრამ მაინც მცხოვრებთ ქალაქის ხორცის დუქნები ვერა სწვდება.

სადღეისო

მოლოდინი.

საზოგადოების ახლანდელი სულიერი მდგომარეობა შეიძლება ერთის სიტყვით გამოხატოს ადამიანმა:

მოლოდინშია!

ელის წყობილების გამოცვლას, ელის იმას, რომ მოისპობა არსებული უსამართლობა, რომ ხალხი,—თავისუფალი,—სახელმწიფოში ბატონობას მიიღებს.

გაისმა ახალი სიტყვები: წარმომადგენლობა, ხალხისაგან არჩეული, ხალხისთვის სანდო პირები... საერო კრება!

სიტყვის და პრესსის თავისუფლება!..

და ამ კრების, ამ თავისუფლების მოლოდინშია ხალხი და გულგრილად უყურებს ბიუროკრატიის ძალმომრეობას...

უყურებს იმას, როგორ დათარეშობენ ბნელი ძალები, სულს უხუთავენ ყველას, თავისუფლების ნასახსაც აღარ სტოვებენ არსად...

ბიუროკრატია იბრძოდა, იბრძოდა წინანდელ ბატონობის შესარჩენად, მაგრამ დაინახა, რომ აღარ შეუძლიან თარეში და საიდუმლოებით მოცულ კომისიებში ირკვევს მომავალ წეს-წყობილებას...

უკანასკნელი „ჩინოვნიკი", რომელიც მონად ან მეწველ ფურად ისახავდა საზოგადოებას, დღეს სხვებთან ერთად საერო კრებაზე მსჯელობს... და გულმოსული, თავის მომავალი არარაობის მოლოდინში,—ჯავრს იყრის იმათზე, ვინც დღეს კიდევ მის ხელშია, ვისაც დღეს კიდევ არ შეუძლიან რამე წინააღმდეგობის გაწევა, ხმის ამოღება, პიროვნების დასაცველად, თავისუფლების მოსაპოვებლად...

ბიუროკრატიის უმაღლეს საფეხურზე გაჩერებული პირები კი თავს იყრიან კომისიებში და თათბირობენ იმ ხალხზე, რომლის გულის ნადები მათში არ იცის არც ერთმა, რომლის იდეალები მათ ეჯავრება, რომლის გაცნობაც არ მიაჩნიათ საჭიროდ...

ექიმი, რომელსაც არც კი უნახავს სნეული...

ექიმი, რომელსაც სნეულის მორჩენა არ მიაჩნია საჭიროდ...

ექიმი, რომელიც ფიქრობს, სნეულის ავადმყოფობა სახეირო არისო ჩემთვის, იგი სულს ებრძვის, ლოგინში გდია, მე კი ჯიბე მისქელდებაო ამითი...

საიდუმლოებით მოცულ კომისიებში თათბირობენ იმაზე, თუ რა „დაუთმონ" საზოგადოებას, რომელი მინიმუმი აკმარონ ხალხს, რაზე დაათანხმონ აღელვებული ადამიანი, რომელიც, დიდი ხნის მონობით შეწუხებული, ვეღარ იტანს ცხოვრების არსებულ პირობებს და ითხოვს თავისუფლებას...

თათბირობენ... ამბობენ... საერო კრების მოწვევას მოჰყვებაო ბიუროკრატიის გადაყენება...

საერო კრების მოწვევაზე უარის გამოცხადებას კი მოჰყვება უარესი განხეთქილება...

ორივე ცუდი არისო ჩვენთვის... ამიტომ სჯობია, იყოს მოწვეული საერო კრება, მხოლოდ მას არაფრის უფლება ნუ ექნებაო მინიჭებული...

შეეძლოს მხოლოდ ლაპარაკი და ლაპარაკი...

ხალხი შეგროვდეს, ხალხმა აირჩიოს თავისი „სანდო" პირები, ეს „სანდო" პირები მოვიდნენ ერთად... სალაპარაკოდ!.. სხვა არაფერი.

ბიუროკრატებს წინანდელივით შერჩება ბატონობაო და ხალხი, მისი მონა, მეწველი ფური, შემდეგშიაც არ დაარღვევს ბიუროკრატიის მორჩილებასო...

ხალხი მოლოდინშია...

საიდუმლოებით მოცულ კომისიებში შრომობენ ბიუროკრატები...

რა საჩუქარს ამზადებენ, ნეტავი?

ვინ იცის!..

არ იციან თვით ამ საიდუმლო კომისიების წევრებმაც იმიტომ, რომ არ იციან, თუ რა ცვლილების „დათმობას" იკმარებს ხალხი, დასთანხმდება თუ არა იგი ნახევარ თავისუფლებას...

„მოსიყვარულე" დედასავით, რომელიც ერთის ხელით ტკბილეულობას აწვდის მტირალა ბავშვს და მეორე ხელით კი მასვე სცემს და ამ ცემით უნდა გააჩუმოს როგორმე...

ბიუროკრატიაც თან ჰპირდება ხალხს ყოველგვარ რეფორმებს და თან კიდევ უბრძანებს: გაჩუმდი, ხმა არ ამოიღო, ძალმომრეობის დანახვაზე პროტესტი არ გამოაცხადოო, თორემ...

და ხალხიც, შეშინებული, ისმენს ტკბილ დაპირებას, მორჩილად ქედს იხრის და იტანს ძალმომრეობას და, უკეთეს მომავლის იმედით... მოლოდინშია.

მოსტყუვდება თუ არა?

მიიღებს თავისუფლებას ნებით თუ ბრძოლით..

ბიუროკრატია, ქვეყნის ბატონი, გალაღებული, ამ ბატონობას შეჩვეული, გამოიჩენს საკმაო გონიერებას ღ ხალხს დაუთმობს უფლებებს, რომელიც მას უნდა ეკუთვნოდეს უთუოდ, თუ ისევე ძველ ბატონობის შერჩენას ისურვებს და ამ ბატონობის შესარჩენად არავითარ საშუალებას არ დაიშურებს შემდეგში?

ნებით თუ ძალით?...

რომელ გზით მიიღებს ხალხი თავისუფლებას...

როგორ გადადგება ბიუროკრატია?

ამას ჰფიქრობს ხალხი და ჯერ ჯერობით... მოლოდინშია...

ს. ფედ—ი.

რუსეთი

ბიუროკრატიული ხრიკი. ტამბოვის საოსტატო ინსტიტუტის მოწაფენი გაიფიცნენ, რისთვისაც, რასაკვირველია, სასწავლებლიდან დათხოვნილ იქმნენ. ცოტა ხნის შემდეგ სასწავლებლის დირექტორმა მოსწავლეებს შემდეგი დაბეჭდილი თხოვნა დაურიგა (მოსწავლეებს ამ ქაღალდზე ხელი უნდა მოეწერათ და უკანვე მიღება ეთხოვნათ): თქვენო კეთილშობილებავ! თვალცრემლიანი გევედრებით, ისევ მიმიღეთ

მაგრამ ერთი ორიოდე სიტყვა იმ მამაცებსაც უნდა ვუთხრათ, რომელნიც სხვის ხარჯზე თავის კეთილშობილებას იჩენენ: თუ თქვენ გულწრფელნი ხართ, თქვენი სიმამაცე დაამტკიცეთ და სხვასაც მაგალითი უჩვენეთ! დაამტკიცეთ, რომ თქვენ ძლიერთა წინაშე არას დროს არ მოგიხრიათ ქედი, რომ ყოველთვის, როცა კი თქვენის თვალის წინაშე ძალმომრეობა და უსამართლობა ხდებოდა, თქვენ პირდაპირ, გულახდილად და მედგრად აცხადებდით თქვენს უკმაყოფილებას და პროტესტს! პირდაპირ აღიარეთ, რომ თქვენ ზიზღს გამოუცხადებთ იმ ვაჭარსა და მძარცველს, რომელმაც თავის მუშა ან ნოქარი მხოლოდ იმიტომ დაითხოვა, რომ ამ მუშამ კენჭი თავის ბატონს არ მისცა; პირობა მოგვეცით, რომ თქვენ ხელს არ გაუწვდით ამ ჯალათს, ზურგს შეაქცევთ მას, განაძევებთ საზოგადოებიდან და ხმა-მაღლა, საქვეყნოდ აღიარებთ იმის უპატიოსნებას! განა ცოტა ხალხი ისჯება გაბედულ სიტყვისთვის, სიმამაცისთვის და სიმართლისთვის? ბევრი, ძალიან ბევრი, მაგრამ ის კი ჯერ არსად ყოფილა, რომ სინიდისისა და თავისუფლების ჯალათს—მექარხნესა თუ სხვა ვისმე—საზოგადოების ჰარამზადა ეწოდოს და თავის წრიდან განეძევოს. ამისთანა უსინიდისოებს საზოგადოებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ აბა ერთი მიიხედ-მოიხედეთ და დათვალეთ, რამდენია ჩვენს შორის ამგვარი „პატიოსანი და ღირსეული წევრი საზოგადოებისა?!"

დიაღ, ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, რომ გაბედაობა კარგი რამ არის; გამბედაობა, მოქალაქობრივი სიმამაცე უპირველესი თვისება გახლავთ შეგნებისა და პატიოსნებისა, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ჯერ შეგნება და პატიოსნება უნდა განვითარდეს, ჯერ შიშისა და ლაჩრობის მიზეზები უნდა მოისპოს და ახლა არჩევნებზედაც მერე შეიძლება ლაპარაკი. ეს წესი არჩევნებისა ყველაზე უფრო ღარიბ ხალხს ეპირვება, ფარული კენჭის ყრა ხალხმა მედგრად და დაჟინებით უნდა მოითხოვოს. როცა სოფელი მამასახლისს ირჩევს, იქ დამსწრე ბოქაული, ან მაზრის უფროსი ყოველთვის მოახერხებს და გლეხებს სწორედ იმ მამასახლისს აარჩევინებს, რომელიც მთავრობას სურს. ამ შემთხვევაში კენჭის ყრა და არჩევანი კეკემალულობის თამაში და უბრალო ხუმრობა ხდება, რადგან ამგვარი ძალდატანებითი არჩევანი სრულებით არ იქნება ხალხის სურვილის გამომთქმელი და მის მისწრაფების გამომხატველი.

ამისგამო ხალხმა მთელი თავის ძალღონით უნდა დაიცვას და მოითხოვოს ფარული კენჭის ყრა.

როგორ უნდა მოხდეს არჩევანი, რომ ის მართლა ფარული შეიქმნეს? როგორც წინად ვსთქვით, საარჩევნო ფურცელზე ამომრჩეველმა უნდა აღნიშნოს იმ კაცის სახელი და გვარი, ვისაც კენჭს აძლევს და ეს ფურცელი, საარჩევნო ბიუროს დასწრებით, საარჩევნო ყუთში უნდა ჩაუშვას.

ეს მართლაც რომ კარგი წესია, მაგრამ, საუბედუროდ, განუვითარებელ ქვეყნებში მას თავისი ნაკლიც აქვს და, აი, როგორი: კანდიდატის დასასახელებლად ამომრჩეველმა უეჭველად უნდა იცოდეს წერა-კითხვა. ნამდვილად კი ახლანდელ მთავრობის წყალობით რუსეთში ნახევარმა ხალხმა და უფრო მეტმაც წერა-კითხვა არ იცის. მაშ როგორ უნდა მოიქცნენ ესენი? თუ კანდიდატის დასახელება სხვას მიანდო, ამით ფარული არჩევანი დაირღვევა, თუ არა და—ნახევარზე მეტი ხალხი უკენჭოდ დარჩება.

მაგრამ არც ამას უშავს რამე. ამ უბედურების აცილებაც შეიძლება და, აი, როგორ: საჭიროა, ყოველმა პარტიამ, რომელიც კანდიდატებს ასახელებს, დაბეჭდოს ამ კანდიდატების სია ფერად ფურცლებზე. ვთქვათ, დემოკრატიულმა პარტიამ გამოაცხადა, ჩვენ წითელ ფურცლებზე გვექმნება დაბეჭდილი ჩვენი ბიულეტენიო. ამას შემდეგ ვერც ერთი პარტია ვეღარ დაბეჭდავს თავის სიას წითელ, ან მოწითანო ქაღალდზე. რამდენი კანდიდატიც იქნება, იმდენი ფერადი ფურცელი გამოვა: წითელი, თეთრი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე და სხ.

შეიძლება ვინმემ იკითხოს, ფურცელი ყუთში ხალხის თვალწინ უნდა ჩავაგდო და ხომ გაიგებენ ფერით, ვის ვაძლევ კენჭსაო. არჩევნების საიდუმლოების დასაცავად ამ შემთხვევაშიაც სულ უბრალო ხერხია მოგონილი: სანამ კენჭს ჩააგდებს, ამომრჩეველი ცალკე ოთახში გადის და მარტოდ მარტო რჩება. იქ იმ ფერის ფურცელს აიღებს, რომელიც უნდა, და ჩასდებს კონვერტში; ეს კონვერტი ისეა გაკეთებული, რომ ვერავინ დაინახავს, რა ფერი ფურცელი ძევს შიგ. ამისთანა კონვერტი ამომრჩეველს უფასოდ უნდა მიეცეს. ამომრჩეველი თავის ფურცელს კონვერტში ჩასდებს, მერე ოთახიდან გამოდის და ამ კონვერტს საარჩევნო ყუთში უშვებს. ამ რიგად ფარული არჩევანი უსწავლელთათვისაც იქმნება დაცული.

ხალხმა გაფაციცებით უნდა ადევნოს თვალყური, რომ არჩევნების დროს პოლიციელებმა და ამა ქვეყნის ძლიერებმა სიყალბე არ ჩაიდინონ. ძალიან ხშირად ხდება, რომ მემამულეებისა, მთავრობისა და მდიდარ მექარხნეების აგენტები ხალხს ქრთამავენ, ათრობენ, აქა-იქ დაძვრებიან და ყოველნაირად ხალხის მოტყუებას ცდილობენ. ამის გამო არჩევნების დროს ხალხის ნამდვილმა მეგობრებმა ამას ყურადღება უნდა მიაქციონ და თვალი ფხიზლად ეჭიროთ. თუ შეამჩნიეს რაიმე სიყალბე, მაშინვე საარჩევნო ბიუროს უნდა შეატყობინონ, ოქმი შეადგინონ და მოითხოვონ,—რადგან არჩევანი მრუდედ და ყალბად მოხდა, ამიტომ ხელმეორე არჩევანი უნდა დაინიშნოსო. შეგნებულები იმასაც უნდა ეცადონ, რომ არჩევნების წეს-რიგი წინდაწინვე აუხსნან ხალხს, ჩააგონონ მისი მნიშვნელობა და მაგალითებით გააცნონ ყველაფერი. Д.

რა შემოსავალს აძლევს გლეხს მიწა?

ამჟამად, სხვათა შორის, სოფლის მუშა-ხალხმაც ამოიღო ხმა; იმანაც თამამად აღიარა თავისი კაცობა და ყოველივე კაცური უფლებაც მოითხოვა. ამ ჩაგრულთა გამოღვიძებამ ბევრი სავალალო კითხვები წამოაყენა გადასაწყვეტად, ბევრი უსწორ-მასწორო გზები აღმოაჩინა. მთელი ჩვენი სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება ძირითად ცვლილებებს თხოულობს. მართლ-მსაჯულება, სწავლის საქმე, ეკონომიური მდგომარეობა და საერთოდ ადამიანის სულიერი ცხოვრება ანორმალურ ვითარებაში ჩააყენა ბიუროკრატიის გამათახსირებელმა ხელმა. ამიტომ ყველას ვალად ადევს, ესა თუ ის საკითხი, თუ რაიმე საშუალება აქვს, შეიმუშაოს და საზოგადოებას გააცნოს.

ყველას ძალიან კარგად მოეხსენება, რომ სოფელში უმთავრესი სალსარი ცხოვრებისა მიწის დამუშავებაა; ამიტომ საინტერესოდ მიგვაჩნია, გავაცნოთ მკითხველს, ერთი ქცევა მიწის დამუშავება რა უღირს სოფლის შრომის შვილს და რა სარგებლობა მოაქვს მისთვის ამ დამუშავებულ მიწას. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას იმიტომ ვაქცევთ ამ საკითხს, რომ ამ ბოლო დროს მემამულისა და გლეხის ურთიერთობა ძალიან გამწვავდა.

ამჟამად არც გლეხმა და არც მემამულემ არ იცის, რა შემოსავალს იძლევა ერთი ქცევა მიწა. არსებობისთვის ბრძოლა გლეხს აიძულებდა, რა პირობითაც უნდა ყოფილიყო, დასამუშავებელი მიწა ეშოვნა და არაოდეს არ ეკითხებოდა თავის თავს, თუ რა უჯდებოდა მას ამ მიწის დამუშავება. ხალხის გამრავლებითა და მიწის დიდი მოთხოვნილებით მემამულემ ისარგებლა და მიწის საიჯარო ქირა და ფასიც უზომოდ ასწია. ამ ათი წლის წინად რომ ერთი ქცევა საყანე მიწისა ათ თუმნად იყიდებოდა, დღეს 40—50 თუმნად იყიდება.

მიწის დამუშავების ხარჯების გამოსაანგარიშებლად მე ვირჩევ ქუთაისის მაზრის აღმოსავლეთს ნაწილს, რომელსაც დაახლოვებით ვიცნობ. ერთის ქცევის მოხვნა-დათესვას აქ კარგი უღელი ხარი და ერთი მუშა-კაცი *) სამ დღე ნახევარს მოუნდება, რაც სულ 7 მ. 70 კ. ეღირება. საშუალო ხარებით ამავე მიწის დამუშავებას ერთი კაცი ხუთ დღეს მოუნდება, ანუ, ფულზე რომ ვიანგარიშოთ, 11 მანათის საღირალ სამუშაოს შეასრულებს. ხოლო სუსტი ხარებით ერთ კაცს შვიდ დღეს დასჭირდება მუშაობა, რაც 12 მ. 60 კ. მაინც ეღირება. ერთი მეორეზე რომ ვიანგარიშოთ, ერთ ქცევა კარგის მიწის დამუშავება 10 მ. 33 კ. დაჯდება. საშუალო მიწის დამუშავება რომ ისევე გამოვიანგარიშოთ, როგორც ზევით,—თორმეტი მანათი დაჯდება; ხოლო ცუდი მიწის დამუშავება—18 მ. 23 კ. ყველა კატეგორიის მიწების დამუშავება საშუალო რიცხვით 14 მ. 12 კ. ჯდება.

მიწის ერთ ქცევას თესლად მოუნდება ფუთნახევარი სიმინდი, რომელიც 1 მ. 20 კ. ეღირება. ერთ ქცევა საშუალო ღირსების მიწის გამარგვლას 5 კაცი მოუნდება და ფულზე 4 მან. ეღირება **).

ყანის გათოხნას მოუნდება ერთ-ნახევარ კაცის სამუშაო ძალა და 2 კაცი (1 მ. 60 კ.).

მოსულ სიმინდის მოტეხას დასჭირდება 2 კაცი (1 მან. 60 კაპ.); ერთ ქცევაზე მოსულ სიმინდის სახლში მოტანა დაჯდება 2 მ. 16 კაპ., გარჩევა და სასიმინდეში შეტანა—1 მ. 40 კაპ.

ამგვარად, ერთის ქცევა მიწის დამუშავება საშუალო ანგარიშით 25 მ. 81 კ. ჯდება.

კარგ მიწაზე მოვა 50 ფუთი, საშუალოზე—30 ფ., ცუდზე—15 ფ. საშუალო ანგარიშით, ქცევაზე მოვა $31^1/_2$ ფუთი სიმინდი, რაც 22 მან. 10 კ. ეღირება. ამას, მუშის ქირის გამორიცხვით, ჩალისა და ლობიოს ფასი 4 მ. რომ მივუმატოთ, შეადგენს 26 მ. 10 კ.

აქ, როგორც მკითხველიც დაინახავს, გლეხს მოგებად 29 კაპ. რჩება.

პირველ ხარისხის მიწის ქცევა ღირს ორასი მანათი, მეორისა—ასი მ., ხოლო მესამისა—ექვსი-ხუთი თუმანი; ამგვარად, საშუალო ღირსების მიწა ღირს ას-ოცი მანათი. ამ ფულის სარგებელი, $5^0/_0$-ის კვალობაზე რომ ვიანგარიშოთ, 6 მანათს შეადგენს, რომელიც მიწის მყიდველს სხვა გზითაც შეეძლო აეღო, თუ მიწაში გაღებულ ფულს გაასესხებდა. ეს 6 მანათიც რომ ქცევის დასამუშავებელ 25 მანათსა და 81 კაპ. მივუმატოთ, შესდგება 31 მან. 81 კაპ. ამგვარად, როგორც ხედავთ, მიწის მუშის თავის დიდ შრომასთან 5 მ. 71 კ. ზარალი მოსდის.

ზოგიერთმა მკითხველმა, შეიძლება, გვითხრას: რატომ იკლავს მუშა-კაცი სხვის მიწაში თავს, თუ ზარალის მეტი არაფერი მოსდისო? ამის პასუხი ძალიან მოკლეა; მუშა იმიტომ „იკლავს" თავს, რომ სხვა სამუშაო არა აქვს; იგი იძულებულია სასოფლო მეურნეობაში შრომის ნაკლებ შემოსავალს დასჯერდეს, ვიდრე მიიღებდა მრეწველობაში, რომ იქ ადგილი იყოს და მის საქმის შოვნა შეეძლოს.

მიწის შემუშავება გლეხისთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, რომ მას ცოდნა ჰქონდეს და დღეს გლეხმა სრულიად არაფერი იცის გაუმჯობესებულ ტეხნიკისა და მეურნეობის შესახებ. ამასთან იგი იხდის ათასნაირ პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს, აკმაყოფილებს სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ბიუროკრატების მოთხოვნილებას და... წელში წყდება...

დიდ ხანს ითმინა გლეხკაცმა და ბოლოს ისიც ამოძრავდა, იმანაც მოინდომა სიღარიბისგან თავის განთავისუფლება და ადამიანური ცხოვრება...

ა. ჯუღელი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 іюня 1905

---

*) კარგი ხარი და მუშა-კაცი დღეში 2 მ. 20 კ. ღირს: ხარი—1 მ. 50 კ.; კაცი—70 კ. თავის ხარჯით.

**) ერთი კაცი ათ საათში (სამუშაო დღეა) თავის ხარჯით 80 კ. ღირს.

სასწავლებელში. უკანასკნელ ამბებში მე ჩემის ნებით არ ვიღებდი მონაწილეობას. აგიტატორები მემუქრებოდნენ, მოგკლავთო, და მეც, მეტი გზა არ იყო, მოძრაობაში ჩავერიე. პირადად მე მოწაფეების-მიერ შედგენილ პეტიციასა და იმათ მოთხოვნილებებს არ თანავუგრძნობდი და არც ეხლა თანავუგრძნობ, პირიქით, ძალიან მომწონს სკოლაში არსებული წეს-რიგი და მხოლოდ თქვენი უფროსობა მწამს (ნ. ჟ.).

✦ **პრესსის თავისუფლება**. ევროპის ჟურნალ-გაზეთობისა და რუსეთის ,,არა-ლეგალურ'' ლიტერატურის გამოწერისა და კითხვის უფლება, არსებულ კანონებით, აქვთ მხოლოდ იმ პირთ, რომელნიც ხარისხითა და ,,ჩინით'' მე-5 კლასზე დაბლა არა დგანან. ეხლა კი, ახალ ცირკულიარის ძალით, გერმანელ სოციალ-დემოკრატების გაზეთი ,,ფორვერტს''-ის გამოწერა და კითხვა ამ ბობოლებსაც აეკრძალათ. ამრიგად „ფორვერტს“-ის კითხვის ნება რუსეთის მინისტრებსაც კი წაერთვათ (ნ. ჟ.).

✦ გაზეთი „პოლტავშჩინა“ აცხადებს: „ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ამ ნომერში ზოგიერთი წერილი ვერ იბეჭდება“ (რ.).

✦ როგორც ვიცით, ცენზურამ 1, მე-2 და მე-3 ნომერი „მოსკ. ნედ.“-ის სტამბაში დააპატიმრა, რედაქტორი კი, ცნობილი პროფესორი ს. ტრუბეცკოი, სისხლის სამართალში მისცა. ,,რუს. ვედ.''-ი ამტკიცებს, ცენზურას ნება არ ჰქონდა გაზეთის დაჭერისა, რადგან გაზეთში ერთი სტრიქონიც არ არის ,,სახიფათო'' და რედაქტორის სამართალში მიცემა ხომ ნამდვილი უკანონობაა, რადგან გაზეთი არ გამოსულაო. (რ. ვ.).

✦ ,,მირ ბოჟი''-ს ივნისის ნომერში დაბეჭდილია: რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო შინაური მიმომხილვა ვერ იბეჭდება (ნ. ჟ.)

✦ 25 მაისს მოსკოვში შეიკრიბნენ სტუდენტები, კურსისტკები და სხვა სასწავლებლების **მოსწავლენი** და **დემონსტაცია მოახდინეს**. დემონსტრანტები სარევოლუციო სიმღერებით გრადონაჩალნიკის სახლისკენ გაემართნენ, მაგრამ პოლიციამ და კაზაკებმა არ გაუშვეს (პ.).

✦ იმავე დღეს ნიჟნი-ნოვგოროდშიაც **მოახდინეს დემონსტრაცია**. პოლიცია საქმეში არ ჩარეულა (პ.).

✦ 25 მაისს ფინლიანდიაში დიდი დემონსტრანცია ყოფილა. დაპატიმრებული მრავალია (პ.).

✦ რიგაში პოლიციამ აღმოაჩინა **ყუმბარებისა, იარაღისა, დინამიტებისა და პატრონების საწყობი**. დაპატიმრებულია 25 კაცი (პ.).

✦ საზღვაო მინისტრი, **დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრესძე, სამსახურიდან გადადგა**. მასთან ერთად სამსახურს თავს ანებებს რამდენიმე მოხელე საზღვაო სამინისტროსი, მათ შორის ადმირალი აველანიც (რ. ვ.).

✦ ლიუბლინისა, სუვალკისა, პლოცკისა, ლომჟინისა და ერევნის გუბერნიებში **გაძლიერებულ დაცვის წესი იქმნა შემოღებული**. (რ. ვ.).

✦ ვოლმარში, რიგის მახლობლად, ბაღში აუარებელი ხალხი შეიკრიბა. ყველას წითელი ხელსახოცი და ყელსაკრავი ჰქონდა; ბაღში მრავალი აფიცერი და სალდათი იყო. ცოტა ხნის შემდეგ, აფიცრებსა და ,,წითლებს'' შეტაკება მოუვიდათ. პოლიციამ და კაზაკებმა დემონსტრანტები გაჰფანტეს (რ. ვ.).

✦ 27 მაისს სერბენში (ლიფლ. გუბ.) სოფლისა და ქალაქის მუშებს დიდი დემონსტრაცია მოუხდენიათ. **პოლიცია ვერას გახდა**. დემონსტრანტებმა 4 საათი იარეს, ილაპარაკეს, იმღერეს და მერე დაიშალნენ (რ. ვ.).

✦ მიტავაში, 25 მაისს, კაზაკებს ძალზე **უცემიათ უდანაშაულო ხალხი** (რ. ვ.).

✦ ლოძში დემონსტრაციის დროს მუშებმა ჟანდარმი პრიმოჩენკო დაიჭირეს და უბრძანეს, **წითელ დროშის წინ ქუდი მოიხადეო**. ჟანდარმმა უარი განაცხადა, რისთვისაც ჩაქოლილ იქმნა. (რ. ვ.),

✦ ლიეჟიდან (ბელგიაშია) „სინ ოტეჩ.“-ს **სწერენ**: აქაურ გამოფენაში რუსეთიც იღებს მონაწილეობას და იაპონიაც. რუსები დიდიან და ამბობენ: მადლობა ღმერთსა, რომ ჩვენი პავილიონი იაპონიის პავილონის გვერდით არ არის, თორემ შევრცხვებოდითო. იაპონიამ თავის პავილიონზე 850 ათასი მანათი დახარჯა, რუსეთმა კი... 45 ათასი (ს. ო.).

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.

გუშინ, ოთხშაბათს, კრების დაწყებისთანავე, თავმჯდომარემ თავ. ორბელიანმა წინადადება მისცა კრებას, წინადღით გარდაწყვეტილ საგნის შესახებ აერჩიათ კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს გარდაწყვეტილი, ფული ვის მისცეს, რა პირობებითა და რამდენი.

კრების ზოგიერთი წევრი წინადადების ოქმების წაკითხვას თხოულობს. ცოტაოდენ ყოყმანის შემდეგ, თავმჯდომარის განკარგულებით, კითხულობენ ოქმებს.

თავ. ჯორჯაძე თხოულობს სიტყვას ოქმების შესახებ. თავმჯდომარე სიტყვის ნებას არ აძლევს. გაისმის ხმები: არ უნდა! ოქმებს რა სიტყვა სჭირია და სხვ. თავ. ჯორჯაძე. მე ვთხოულობ, რომ მომცეთ სიტყვის ნება, ეს პირველად მესმის, რომ საზოგადოებას ოქმები წაუკითხოთ და გვერდზე გადასდოთ. ოქმები იმიტომ იწერება და საზოგადოებას იმიტომ წაუკითხავენ ხოლმე, რომ, რაც ჩასამატებელია—ჩავუმატოთ, რაც გამოსაკლებია—გამოვაკლოთ და შემდეგ დავამტკიცოთ. მე ვაცხადებ, რომ ოქმი სავსებით არ არის შედგენილი და მინდა ორიოდე სიტყვა ჩავუმატო. მომეცით ამისი ნება. ექ. გაბაშვილი უერთდება თავ. ჯორჯაძის აზრს და ამბობს, რომ ეს უფლება ყოველ წევრს აქვს და ამ უფლების ჩამორთმევა უკანონოა. თავმჯდომარე მაინც არ აძლევს სიტყვის ნებას და წინადადებას აძლევს კრებას ფეხზე წამოდგომით ოქმი უკამათოდ დაამტკიცოს. ფეხზე დგება კრების მცირე ნაწილი. თავმჯდომარე. ოქმი დამტკიცებულია; გადავიდეთ შემდეგ საგნებზე. კრება ხმაურობს: კრების მცირე ნაწილი ადგა, ოქმი არ არის დამტკიცებული, ხელმეორედ უყარეთ კენჭი, აქ ყველას არა აქვს ხმა, ეს კენჭის ყრა უკანონოა. თავმჯდომარე თავის საქმეს განაგრძობს და სიტყვას აძლევს თავ. თუმანიშვილს. მაშინ კრების ერთი ნაწილი ამბობს, ჩვენ პროტესტს ვუცხადებთ ამგვარ ძალმომრეობას და კრებიდან გავდივართ (კრებიდან გასვლას აპირობენ). პატარა ხნის უკან თავმჯდომარე სიტყვის ნებას აძლევს თავ. ჯორჯაძეს. ბ-ნი ტარსაიძე. ბ-ნო თავმჯდომარევ, თქვენ წედან ამ საკითხს კენჭი უყარეთ და ჩვენ დავამტკიცეთ. ახლა თქვენ მხედველობაში მიიღეთ საზოგადოების ერთი ჯგუფის დემონსტრაცია და უთმობთ მათ, ჩვენ აღარაფერი არა დაგვრჩენია-რა იმის გარდა, რომ ახლა ჩვენ ავდგეთ და კრებიდან გავიდეთ. ხალხი სოფლებიდანაა ჩამოსული, ეს მესამე დღეა, რაც ვიკრიბებით და ჯერ არაფერი გაგვიკეთებია. თუ ყოველ ოქმის წაკითხვაზე და მის დამტკიცებაზე ჩვენ სჯა-ბაასი ვიქონიეთ, კიდევ რამდენსამე დღეს დავკარგავთ. თავ. ჩოლოყაშვილი (მაზრის წინამძღოლი). ჯერ კრების ერთს ნაწილს უნდოდა კრებიდან გასვლა, ახლა მეორეს. ეს რაღაც უთავბოლობაა და უპატივცემულობა თქვენ-მიერ არჩეულ კაცებისა. ჩვენ, თავად-აზნაურთა წინამძღოლებმა, მოვილაპარაკეთ და ხმის უმეტესობით გადავსწყვიტეთ, მივსცეთ ნება წევრებს ოქმის შესახებ თავიანთი აზრი გამოსთქვან, თქვენ კი ახლა გაიძახით, წედან ისინი მიდიოდნენ, ეხლა ჩვენ მივდივართო. თავ. ჯორჯაძე. პირველ დღის კრების ოქმში რამდენიმე სიტყვაა გამოკლებული, ოქმში სწერია: კრებამ დაადგინა—სამღვდელოების პატივისცემის ნიშნად, კრება დაიხუროსო, პოლიციის შესახებ კი, რომელიც ჩვენ დავადგინეთ, ოქმში შეტანილი არ არის და მე ვთხოულობ, რომ ეს სიტყვები შეიტანოთ. თავმჯდომარე. მართალია, კრებამ დაადგინა, მაგრამ ეს ჩემი შეცდომაა, მე ჩემს კოლლეგებს ქაღალდი (ბ-ნ რცხილაძის მიერ წარდგენილი) წინდაწინვე არ წავუკითხე და კრებას ისე მოვახსენე. იქ ისეთი სიტყვები იყო, რომ მათი ოქმში შეტანა ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ ოქმის შესახებ მე ლაპარაკის ნებას აღარავის ვაძლევ და ვსთხოვ კრებას, კომისია აირჩიოს. ექ. გაბაშვილი. ამ კომისიაში მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლები მონაწილეობას მიიღებენ თუ არა? და თითო მაზრიდან რამდენი წარმომადგენელი უნდა აირჩეს?

თავმჯდომარე. კომისიაში ყველა მაზრის წინამძღოლნი მიიღებენ მონაწილეობას და ამას გარდა მაზრიდან ორ-ორი კაცი უნდა აირჩეს. თავ. ი. ზ. ჩოლოყაშვილი იმ აზრისაა, რომ კომისიას არ შეუძლიან თავისით გარდაწყვიტოს, საზოგადო კრებამ კომისიას უნდა მისცეს ინსტრუქცია, რომლითაც მან უნდა იხელმძღვანელოს. მე კრებას წინადადებას ვაძლევ, ეს ფული მიეცეს თავად-აზნაურთ სესხად, უსარგებლოდ, არა უმეტეს ათი წლის ვადით, და კომისიას დაევალოს—გასცეს ფული არა უმეტეს 60 ათასი მანათისა. კრებამ მიიღო ეს წინადადება და აირჩია კომისია: ტფილისის მაზრაში—თავ. დ. ა. სუმბათოშვილი და ვ. დ. თულაშვილი; გორისა—ნ. ა. ტარსაიძე და თავ. ნ. ა. თუმანიშვილი; დუშეთისა—ექ. ი. დ. გაბაშვილი და ი. ი. კობიაშვილი, სიღნაღისა—თავ. ს. რ. ვაჩნაძე და თავ. ი. გ. ანდრონიკაშვილი, თელავისა—თავ. ს. რ. ვახვახიშვილი და ვ. ი. რცხილაძე და ბორჩალოსა—ნ. ი. საგინაშვილი და გ. ზ. შანშიევი. ეს კომისიები ცალ-ცალკე შეიკრიბებიან, შეიმუშავებენ გეგმას და შემდეგ ერთად გუბერნიის წინამძღოლის თავმჯდომარეობით საქმეს გარდასწყვეტენ. კომისიის არჩევის შემდეგ, თავმჯდომარემ კრებას გორის სინდიკატის წევრების თხოვნა წარუდგინა, რომელნიც თხოულობენ სამეურნეო თანხიდან სესხად ათის წლის ვადით 30 ათასს მანათს, და სთხოვა გორის წინამძღოლს, თავ. გ. ა. ბაგრატიონს, განემარტა ეს საკითხი კრებისთვის. თავ. ბაგრატიონის სიტყვით, გორის სამეურნეო საზოგადოება, რვა წელიწადია, რაც დაარსდა. პირველად საქმე კარგად წავიდა, შემდეგ როგორღაც შეფერხდა, ამჟამად კი ისევ გამოკეთდა. მაგრამ თანხა არა აქვს, რომ საქმე სასურველ ნიადაგზე დადგეს. თანხად აქვს სულ სამასი თუმანი, მაშინ, როდესაც წელიწადში 200 ათასი მანათის ვაჭრობა აქვს. თავ. ბაგრატიონმა ნათლად დაასურათა ამ სინდიკატს რა სარგებლობა მოაქვს, როგორც თავად-აზნაურთა, ისე გლეხკაცობისთვის, და სთხოვა კრებას—ფულით დახმარება გაუწიოს ამ სიმპატიურ დაწესებულებას. ამ საგანმა კრებაზე დიდი კამათი გამოიწვია. თავ. ჯორჯაძე, ექ. გედევანიშვილი, თავ. ა. ჩოლოყაშვილი დახმარების წინააღმდეგნი იყვნენ და ამტკიცებდნენ, რომ, ჯერ ერთი, ეს სავაჭრო დაწესებულებაა და სამეურნეო თანხიდან ფული ვერ მიეცემა, მეორეც ისა, რომ ამ სინდიკატს სათავად-აზნაურო სკოლის თანხიდან ნასესხები აქვს 12 ათასი მანათი და ჯერ ისიც ვერ გადაუხდია და 30 ათას მანათს საიდან გადაიხდისო. თავ. დ. ჯანდიერი, თავ. გ. თარხნიშვილი, კ. ტატიშვილი, ა. კალატოზიშვილი და სხვები ამტკიცებდნენ, რომ ეს დაწესებულება ფრიად სიმპატიურია და დიდს დახმარებას უწევს სოფელს და მას მრეწველობას და საჭიროა, თავად-აზნაურობა დაეხმაროს მას. დიდი კამათის შემდეგ, ამ საკითხს ყუთი დაუდგეს და კენჭი უყარეს. ხმები შუა გაიყო (34 თეთრი და 34 შავი). ამრიგად ეს საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა. კრება გადაიდო დღეისთვის.

ქალაქის საბჭო

7 ივნისის სხდომა.

სამშაბათის კრებას აუარებელი ხალხი დაესწრო. ამ დღეს საბჭოს უნდა გაერჩია ყასბების მოთხოვნილებანი, რომელიც მათ წარუდგინეს ქალაქის გამგეობას. კრების დაწყებისთანავე **ხმ. ა. ხ. ბაზოვმა** განაცხადა, კიდევ და კიდევ ვიმეორებ, რომ ჩვენი პრესსა მეტად შევიწროებულია, საბჭოს კრებების ანგარიშებს ან სულ არ აბეჭდვინებენ და, თუ აბეჭდვინებენ, ან შეკვეცილს, ან სულ გადამახინჯებულს. მაგ., წარსულ კრების ანგარიში არც ერთს გაზეთში არ დაიბეჭდაო. საჭიროა, ქალაქის საბჭოს თავისი ორგანო ჰქონდეს, რომელსაც სახელად ეწოდება „გოროდსკია იზვესტია“ და რომელშიაც ქალაქის საქმეები და კრებების ანგარიში დაიბეჭდებაო.

ამას შემდეგ საბჭო შეუდგა ყასბების მოთხოვნილებათა და იმათ შესახებ ქალაქის გამგეობის დადგენილებათა განხილვას. ყასბები თხოულობდნენ: 1) ქალაქის საყასბოებში საქონლის დაკვლაზე გარდასახადის შემცირებას. როგორც ქალაქის გამგეობის მოხსენებიდან სჩანს, თითო სულს საქონელზე ქალაქი ახდევინებს 75 კაპ., გამგეობის ანგარიშით ათს გირვანქა ხორცზე მოდის ერთი კაპეიკი. ყასბების წარმომადგენელი ამტკიცებდა კრებაზე, ეს გარდასახადი ყასბებს უკანონოდ ხდებათ და სულ დაღარიბდნენო. ამაზე ხმოსნები: არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ბაბოვი, ევანგულოვი, ხუდადოვი, მირზოევი, სვეშნიკოვი და სხვ. უპასუხებდნენ, ჩვენ ვახდევინებთ 75 კაპ., ზოგიერთ სხვა ქალაქში კი 2 მანათსაც აჰდევინებენო. ხმოსნების აზრით, ყოვლად შეუძლებელია, რომ არ გადახდეთ ყასბებს ეს ფული, რადგან ამგვარ გარდასახადებით ქალაქი მართავს ღარიბ მცხოვრებლებისათვის სკოლებს, საავადმყოფოებს, აკეთებს ქუჩებს, ანათებს ქალაქს და სხ. და ათს [illegible] გირვანქაზე ერთი კაპეიკი ისეთი დიდი გარდასახადი არ არის, რომ ყასბები გაიფიცნონ, ქალაქი რამდენიმე დღე უხორცოდ დასტოვონ და ხორცი გააძვირონ. ამ მოსაზრებით საბჭომ უარჰყო ყასბების მოთხოვნილებათა ეს მუხლი. მეორე მუხლი შეეხებოდა საქონლის დაზღვევის გაუქმებას. ქალაქის გამგეობამ თავის მოხსენებაში და ხმოსნებმაც განაცხადეს, რომ საქონლის დაზღვევა ქალაქის გამგეობას შემოუღია წვრილ ყასბების ინტერესების დასაცველად. წინად, როდესაც ყასაბს ავადმყოფი საქონელი გამოადგებოდა, ბეითლები მათ სწვავდნენ, ან წყალში აგდებდნენ და ყასაბი ზარალობდა ერთს სულს საქონელზე ხუთს, ექვს თუმანს, ეხლა კი ყასაბი იხდის საკლავ სულს საქონელზე 12 კაპ. და, თუ საქონელი ავადმყოფი გამოდგა, გამგეობა აძლევს პატრონს ღირებულობის 75 პრ. გამგეობას გადაწყვეტილი აქვს, ის თანხა, რომელიც ამ ფულიდან შესდგება, ისევ ქალაქის საყასბოების გაუმჯობესებას მოანდომოს. ეს მუხლიც უარ-ჰყო საბჭომ. მე-3 მუხლში ყასბები თხოულობენ, რომ ავლაბრის მინდორი საძოვრად მიეცეს ყველა ყასბებს ერთად და არა იჯარით ერთს კაცს, როგორც ამჟამად არისო, და იჯარის ფასსაც დააკლდეს. საბჭომ არც ეს მუხლი მიიღო რადგან ეს მინდორი საძოვრად ისე იაფად არის გაცემული, რომ იმაზე იაფად გაცემა ყოვლად შეუძლებელია. კრებამ მიიღო მხოლოდ ორი მუხლი ყასბების მოთხოვნილებისა. პირველ მათგანში ყასბები თხოულობენ, რომ გაუქმებულ იქმნას საქონლის რკინის გზით სავალდებულო გადაყვან-გადმოყვანა და კარანტინები. ხმოსნები ამ მოთხოვნილებას ერთხმად დაეთანხმენ, რადგან მართლაც ეს სავალდებულო დადგენილება აუტანელ გაჭირვებაში აყენებს საქონლის მყიდველებს და მიზეზიც ეს არის, რომ ამ ბოლოს დროს ქალაქში ხორცი ასე გაძვირდა. მთავრობის ეს დადგენილება გამოწვეულია იმ მოსაზრებით, რომ სხვა კუთხეში ნაყიდი საქონელი ბეითლების გაუსინჯავად ქალაქში არ შემოვიდეს და ამით რაიმე ავადმყოფობა არ შემოიტანონ, მაგრამ ამ დადგენილებას ბევრი ცუდი მხარეცა აქვს. პირველი ისა, რომ პატრონმა საქონელი ფოსტისა ან სასოფლო გზებზე რომ წამოასხას, გზაზე არავითარი ხარჯი არა აქვს, მოჰყავს დასვენებით, გზადაგზა აძოვებს და ქალაქში ჩამოჰყავს დასვენებული, მსუქანი საქონელი. ვაგონებში კი ფულს იხდის, საქონელი ილახება, ხდება და ზოგჯერ რამდენიმე სული კვდება კიდეც. შემდეგ ბეითლები სტანჯავენ საქონლის პატრონებს, თითო კვირაობით აცდევინებენ და ბევრი, „თუ გული არ მოულბე“, ერთ თვესაც გაგაჩერებს ერთს ადგილზეო.—განაცხადეს ყასბებმა. მეორე მუხლში ყასბები თხოულობენ 27 მაისს დატუსაღებულ ამხანაგების განთავისუფლებას. საბჭომ ერთხმად დაადგინა: იშუამდგომლოს მთავრობასთან, რომ გაუქმებულ იქმნას საქონლის რკინის გზით სავალდებულო გადაყვან-გადმოყვანა და დატუსაღებულ ყასბების განთავისუფლება. კრებამ გადასწყვიტა, აირჩიოს კომისია, რომელიც რამდენსამე ყასაბთან ერთად უნდა წარუდგეს კავკასიის ნამესტნიკს და ამ ორ საკითხის შესახებ თხოვნა მისცეს. ამასთანავე უნდა აცნობოს ამჟამად პეტერბურგში მყოფს ქალაქის მოურავს, ქ. ა. ვერმიშევს, რომ იმან თავის მხრივ აღძრას შუამდგომლობა უმაღლესს მთავრობასთან ამ სავალდებულო დადგენილების გაუქმების შესახებ.

თეატრი და ხელოვნება

ქ-ნ ასტ. აბრაამიანის კონცერტი. ორშაბათს 6 ივნისს, ტფილისის სამუსიკო სკოლის დარბაზში გაიმართა ქ-ნ ასტღიკ აბრაამიანის კონცერტი. ქ-ნ აბრამიანს შუათანა ხმა აქვს, საკმაოდ სასიამოვნო და ტკბილი. თუმცა ჯერ ახალგაზდა და გამოუცდელი მომღერალია, მაგრამ საკმაოდ შემუშავებული ხმა აქვს, მეტადრე დაბალ და შუა რეგისტრებში. მაღალ რეგისტრებში კი შემუშავება აკლია და ცოტათი მოიხრინწიანებს. პროგრამა საკმაოდ საინტერესოდ იყო შედგენილი. თითქმის ყველამ კარგად შეასრულა თავისი პარტიები, განსაკუთრებით კარგად შესრულებულ იქმნა ვიოლონჩელზე დაკვრა.

კორესპონდენცია

სიღნაღი, 1 ივნისი. ჩვენმა სამაზრო ბიუროკრატიამ ვერ მოახერხა საქობოელებისა და ასანურელების მორიგება მამულის დავაში და საქმე ეგზეკუციამდე მიიყვანა. საქობოელები დაეცნენ ასანურელებს, დაუხოცეს საქონელი, სცემეს ხალხს. მაზრის ბიუროკრატიამ დაიბარა ორი ესკადრონი დრაგუნებისა და ეგზეკუციად ჩაუყენეს საქობოელებს. საქმე სისხლის ღვრამდე მივა და მაზრის ადმინისტრაცია ვერ იგებს შნოს, რომ ხალხს განსაცდელი აცდინოს.—ორი ესკადრონი კი არა, ორი პოლკიც რომ ჩაგვიყენოთ, ჩვენ ჩვენსას არ მოვიშლით და ჩვენს მამულს არავის დავანებებთო—ამბობენ საქობოელები. განა მართლა ასე ძნელია საქობო-ასანურის დავის გარჩევა და სიმართლის დადგენა? ყველა სხვა წოდებამ,—მოქალაქეებმა, თავად-აზნაურებმა, სამღვდელოებამ,—იცის თავისი მამული, მისი რაოდენობა და საზღვარი; მხოლოდ ჩვენმა სახაზინო გლეხობამ არ იცის, სადა თავდება იმისი მამული და სად იწყება სხვისა. მამულის მფლობელობა, როგორც საზოგადოებათა შორის, ისე ერთის საზოგადოების წევრთა შორის დომხალივით არეულია, რის გამოც იბადება დავიდარაბა, სისხლის ღვრა და ეგზეკუცია. როდემდის უნდა გაგრძელდეს ასე?

27 მაისს ათასი საქობოელი გლეხი მაზრის უფროსთან მივიდა და შესჩივლა:—„ბატონო, ჩვენ „ბუნტოვშიკები“ არ გახლავართ, ჩვენ, აი, რას ვითხოვთ: პლანში რვა-ათასი დესეტინა მიწა გვიწერია და ხარჯსაც ამის გვარად ვიხდით; ნამდვილად-კი, ხუთი ათასი დესეტინაც არ გვიჭირავს. ზოგი ჩვენი მამული ასანურმა დაიჩემა და ზოგიც ხაზინამ მოგვიჭრა. ჩვენის ხარჯით გამოიწერეთ, ბატონო, მიწის-მზომელი, ჩვენი მამული გაგვიზომინეთ, ან მიწა შეგვიმსეთ, ან ხარჯები მოგვაკელით და ეგზეკუციაც აგვაშორეთ. რაც შეეხება ზარალს, რომელიც მივაყენეთ ასანურელებს, იმას ავუნაზღაურებთო“.

როგორც ხედავთ, აქ არც ,,ბუნტობაა'' და არც სხვა რამ დანაშაული. მაგრამ სამაზრო ბიუროკრატიამ კი ,,ბუნტობა'' დაინახა და სოფელს გამოუცხადა: თუ ,,ბუნტოვშიკებს'' ხელში არ მოგვცემთ, ეგზეკუცია არ აგცდებათო.

ადმინისტრაციას რომ ერთიბეწო ხალხის სიყვარული გამოეჩინა, საქმე ადვილად და მშვიდობიანად დასრულდებოდა. მართლაც, განა ასე ძნელია, ხალხის ხარჯით მიწის-მზომლის მოწვევა და მამულების საზღვრების გამოკვლევა?

მაგრამ ბიუროკრატიის ხელში ვის უპოვია სამართალი: ,,დაჩუმდი“, ,,ნუ მიქარავ'', ,,ხვალე მოდი'', ,,ბუნტოვჩიკო'', ,,ჩემი საქმე არ არის'', ,,სცემეთ მაგას'', ,,არზით შემოდი'' და სხვა ამგვარი.

აქ რომ ვერას გახდნენ, საქობოელები ტფილისში ჰგზავნიან დეპუტაციას ნამესტნიკთან, რომ იმასაც შესჩივლონ თავისი გაჭირვება.

მოუთმენლად ველით იმ დიად დროს, როდესაც მოიწვევენ ხალხის წარმომადგენელთა კრებას, სადაც ქიზიყსაც ბევრი რამ აქვს სათქმელი.

ანაგელებისა და ფანიანელების საქმე ადმინისტრაციამ ისე გაათავა, რომ ფანიანელები მშრალზე დასტოვა, ჩამოართვა ისეთი მამული, ურომლისოდაც ფანიანს ცხოვრება არ შეუძლიან. ეს—საქმის გათავება-კი არა, დაუსრულებელ დავისა და ჩხუბის სათავეა.

ამასწინად ქიზიყის აზნაურშვილებმა კერძო კრება გამართეს. გამოირკვა, რომ ეს წოდება ქიზიყში გაცილებით ცუდს მდგომარეობაში ყოფილა, ვიდრე გლეხკაცობა. ესენი არც აზნაურთა წოდებაში ირიცხებიან, ვინაიდან მამულები არა აქვთ და, საცა აქვთ, სულ სადაო; არც გლეხებში, რადგან, სოფლის საზოგადოებაში არავითარი ხმა არა აქვს, ამიტომ დაადგინეს: სთხოვონ ხელმწიფის მთადგილეს, ხალხის წარმომადგენელთა კრებაზე იმათი წარმომადგენელიც იყოს მიწვეული, რომ თავიანთი გასაჭირი იმათაც გამოსთქვან.

გოგრა-ქეჩხა.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

8 ივნისი.

სიტიაძა, 7 ივნისი. ჩინელების სიტყვით, ჩანტუფუ-სინტუნ-პალოუნტაიზე იაპონელები რუსების მოსაგერებლად ემზადებიან. როგორც ეტყობა მდინარე ლიაოხეზე იაპონელებს სამხედრო ბაზა აქვთ იმ ჯარებისთვის, რომელიც იაპონიიდან ჩამოსდით. ხმა დადის, რომ რუსების მარჯვენა ფრთეზე ცხარე ბრძოლაა.

ტოკიო. ხარბინს გარედ მყოფი რუსების ჯარი, იქაურ სიმაგრეებზე დაბანაკებული და სუნგარას მახლობლად ციხეებში თავმოყრილი, სულ 54,000 იქმნება. იქ მხოლოდ არის გაწყობილი სიმაგრეები, და რკინის გზის ლიანდაგები გაყვანილია. იაპონელები წინ მიიწევიან და რუსების ორივე ფრთეზე იერიშით მივიდნენ. იაპონელებს ბრძოლის ველზე ნახევარ მილიონზე მეტი ჯარი ყავთ. 3,000 რუსი კორეიდან წავიდა.

გუნჯულინი, 7 ივნისი. „ნოვ. ვრ.“-ის სამხედრო კორესპონდენტს ლოდიჟენსკის სისხლი მოეწამლა და გარდაიცვალა.

ტვერი. საგუბერნიო კრება პირველ სხდომაზევე შეუდგა სახელმწიფო წესწყობილების გაუმჯობესობის საკითხის განხილვას.

მოსკოვი, 7 ივნისი. გრადონაჩალნიკმა ქალაქის საბჭოს წინადადება მისცა, ხალხის წარმომადგენლების ორგანიზაციის მოხსენება განიხილეთ ხალხის დაუსწრებლადო. 15 ივნისს მოსკოვში შესდგება ქალაქის მოურავთა კრება, 18 ს მოხდება ერობის მოღვაწეთა კრება მიმდინარე საკითხთა განსახილველად, 20 ში იქნება თავად-აზნაურთა წინამძღოლების კრება.

ფეოდოსია, 7 ივნისი. ნავთსადგურში მომუშავეები გაიფიცნენ.

ლოძი, 7 ივ. გუშინ საღამოს რევოლვერით მძიმედ დასჭრეს დარაჯი სალდათი.

ელისავეტგრადი, 7 ივ. ზოგიერთ მამულში გლეხებმა დაქირავებული მუშები გარეკეს.

ვინდავა, 7 ივ. დღესასწაულის დროს ზოგიერთ ადგილას ხალხმა დემონსტრაციები მოახდინა და წეს-რიგი დაარღვია.

მინსკი, 7 ივ. ღამე დარაჯები დაეწივნენ ახალგაზდა კაცებს, რომელნიც თოფის სროლაში ვარჯიშობდნენ. პოლიციამ 42 კაცის გვარი ჩაიწერა.

ალექსანდროვსკი, 7 ივ. წვიმამ ხალხს აუარებელი ზარალი მიაყენა.

ნიუ-იორკი. გაზეთში დაიბეჭდა საიდუმლო წერილი, რომლიდანაც სჩანს, რომ ჩინეთში ერთი საზოგადოება ინახავს 70 პოლკს იმ დროისთვის, თუ ვინიცობაა მოქალაქობრივი ომი ატყდა. ჩინეთის მთავრობამ ამის გამო პროტესტი განაცხადა.

ბერლინი. ფრანკფ. ცეიტუნგის კორესპონდენტს ქრისტიანიაში მიანდეს გამოაცხადოს, რომ ნორვეგია არსად არ ეცდება, თავისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოებს აღიარებინოს, რადგან იგი ყოველთვის დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, ხოლო შვეციასთან პირობით შეკავშირებული. იმას უნდა მხოლოდ, რომ საზღვარ-გარედ დიპლომატიური წარმომადგენელნი იყოლიოს.

სტოკჰოლმი. რიკსტაგის სესსია დაიწყო.

ვიბორგი. დღეს გაასამართლეს ბრალდებულნი, რომელთაც გუბერნატორი მიასოედოვი უნდა მოეკლათ. მიუსაჯეს: რეინიკს—დაპატიმრება ორის წლითა და ორის თვით და პროკოპეს—100 მარკით დაჯარიმება ანუ ორის დღით დაპატიმრება. სტუდენტი რისანენი გაამართლეს.

ლონდონი. მეცნიერმა ბურკმა კემბრიჯში დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო რამ აღმოაჩინა: სტერილიზაციით დაწმენდილ ბულიონში რადიუმით [illegible] პაწაწა ცოცხალი არსებანი შექმნა, რომელთაც ნიშნი აქვთ ზრდისა და გამრავლებისა. ესეთი აღმოჩენა ბურკს თვით-ჩასახვის დამამტკიცებელ ფაქტად მიაჩნია.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევს 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევს 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს.წ. ს. 11) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის.

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევს 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევს 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევს 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.)

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

განცხადებანი

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი	40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში	20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა	20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი	10
იაპონია. ნ. ნიკოლაძისა.	20

დარბაზის კედლებად მოსართავი სურათები:

შოთა რუსთველისა, დიდი 50 კ., აკაკისა 40 კ., ილია ჭავჭავაძისა 40 კ., რაფიელ ერისთავისა 40 კ., ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ., ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ., საქართველოს დიდება 1 მ. 20 კ., თამარ მეფის დიდი სურათი 1 მ. 50 კაპ. და პატარა 6 კაპ.

და სხვა ყოველგვარი წიგნები.

მისამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“.
სოსიკო მერკვილაძე. (20—3)

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ლედერინი“ მ. ვ. ლებედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(0—6.—6)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 8 іюня 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.
]